

საქართველოს სოც.



საბჭ. რესაუგლიძის

გუბათა და გლეხთა მთავრობის

## პარონია და განკარგულებათა პრეზენტი

სახალხო კომისართა საგაოცე და ეკონომიკის საგაოცე  
სამართა განკარგულობის გამოცემა

1930 წ. ეკისლი 28.

№ 8

ნაწილი პირველი

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს  
და დაგენილებანი.

70. საქართველოს სსრ სამთო კოდექსის დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების  
შესახებ,  
საქართველოს სსრ სამთო კოდექსი.

## ცენტრალური კომისართა კომიტეტის და სა- ხალხო კომისართა საგაოცე დადგენილებანი

70. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სამთო კოდექსის დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღე-  
ბის შესახებ.

„სსრ კავშირის სამთო დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ გა-  
მოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სა-  
ხალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 9-ის დადგენილების (სსრ კავ-  
შირის კან. კრ. 1927 წ. 68 №-ი, მუხ. 687; 1928 წ. 28 №-ი, მუხ. 253) მე-2  
მუხლისა და „ა/ქსფსრ ტერიტორიაზე სამთო რეწოდისათვის წიალთა სარგებ-  
ლობის პრინციპების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ გა-  
მოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სა-  
ხალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის მარტის 4-ის დადგენილების (ა/ქსფსრ  
კან. კრ. 1929 წ. მე-5 №-ი, მუხ. 47) მე-3 მუხლის საფუძველზე—სრულიად სა-  
ქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ  
სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე,—აფხაზეთის სს რესპუბლიკისა, ავარისტანის ავტონომიური სს რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებითურთ,—ამასთანავე დართული საქართველოს სსრ სამთო კოდექსი.

2. საქართველოს სსრ სამთო კოდექსის იმ მოხლეების სამოქმედოდ შემოღების დროისა და წესის მიმართ, რომელიც ამ კოდექსში სსრ კავშირის სამთო დებულებიდან (სსრ კავშირის კან. კრ. 1927 წ. 68 №-ი, მუხ. 688; 1928 წ. 46 № ი, მუხ. 407 და 54 №-ი, მუხ. 482) და „ა/ქსფსრ ტერიტორიაზე სამთო რეწაობისათვის წიალთა სარგებლობის პრინციპების დებულებიდან (ა/ქსფსრ კან. კრ. 1929 წ. 5 №-ი, მუხ. 47) არის გადმოღებული, შეფარდებულ უნდა იქნეს წესები, რაც აღნიშნულია „სსრ კავშირის სამთო დებულების სამოქმედო შემოღების შესახები დაღვენილების შეცვლის თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარათით 1928 წლის მაისის 12-ის დადგენილებაში (სსრ კავშირის კან. კრ. 1928 წ. 28 №-ი, მუხ. 253) და „ა/ქსფსრ ტერიტორიაზე სამთო რეწაობისათვის წიალთა სარგებლობის პრინციპების დებულების სამოქმედო შემოღების შესახებ“ გამოცემული ამიერკვეთისის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისარათი საბჭოს 1929 წლის მარტის 4-ის დაღვენილების (ა/ქსფსრ კან. კრ. 1929 წ. 5 №-ი, მუხ. 47) მე-2 მუხლში.

3. წინადაღება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს:

ა) გამოსცეს ორი თვის გადაზე, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან,— სათანადო შემთხვევაში დაინტერესებულ უწყებებთან შეთნამებით,— საქართველოს სსრ სამთო კოდექსით გათვალისწინებული წესები და ინსტრუქციები;

ბ) წარუდგინოს ერთი თვის/გადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დაღვენილებისა საქართველოს სსრ კანონმდებლობის იმ ცვლილებათა შესახებ, რაც დაკავშირებულია სამთო კოდექსის გამოცემასთან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-  
სრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-  
ჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღ-  
მასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1929 წ. ნოემბრის 20.

ტფილისი—სახალხო.

## საქართველოს სსრ სამთო კოდექსი.

### ვ ა რ ი I.

#### ზოგადი დებულებანი.

1. მიწის წიაღი საქართველოს სსრ ფარგლებში შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას და იგი არ შეიძლება კერძო საკუთრების საგანი იყოს.

2. სამთო ორგანიზაციის მიწის წიაღის სარგებლობისა და განკარგულების წესი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოვარდდება სსრ კავშირის სამთო დებულებით (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 68 №-ი, მუნ. 688; 1928 წ. 46 №-ი, მუნ. 407 და 54 №-ი, მუნ. 482), ა/ქსფსრ ტერიტორიაზე სამთო ორგანიზაციის წიაღითა სარგებლობის პრინციპების შესახებ გამოცემული დებულებით (ა/ქსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-5 №-ი, მუნ. 47) და ამა სამთო კოდექსით.

3. მიწის წიაღიდ იგულისხმება მიწის მთელი სისქე მიუხედავად იმისა, მიწის სიღრმეშია მის შემადგენელი ნაწილები, თუ ზედაპირზე. წიაღის შემადგენელ ნაწილებს—მყარს, თხევადს და აირადს, რაც გამოყოფის თუ გამოცალკივების საშუალებით შეიძლება ამოღებულ იქნეს წიაღიდან სამრეწველო მიზნით, ეწოდება სასარგებლო წიაღისეული. იმ ადგილს, სადაც წიაღისეული ბუნებრივად გროვდება, საბადო ეწოდება.

4. წიაღილიშეულის საბადოს სამრეწველო დამუშავებას, აგრეთვე ამ მიზნით წარმოებულ ძებნის, ძიებას და სამოშადებლო მუშაობას სამთო ორგანიზაციონული დებულებით.

5. სამთო ორგანიზის უფლება აქვს სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს და იურიდიულ პირს.

სამთო ორგანიზის უფლება მიენიჭება უცხოელსაც და იმ უცხოელ იურიდიულ პირს, რომელსაც შეუძლიან სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოქმედება, ხოლო თვითხელ ცალკე შემთხვევაში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით.

**შენიშვნა.** ამა მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული წესის გამონაკლისი დადგენილ იქნება სსრ კავშირის კანონმდებლობით.

6. გეოლოგიური ქვლება, ძებნა, ძიება და საცდელი დამუშავება, რასაც აწარმოებენ სსრ კავშირისა, ა/ქსფსრ და საქართველოს სსრ სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებანი, განხორციელდება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 6-ის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 63 №-ი, მუნ. 581) და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემული ა/ქსფსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის კანონდებულებებით გათვალისწინებული განსაკუთრებული წესის თანახმად.

7. ამა კოდექსის მოქმედება არ გავრცელდება:

ა) მტკნარი წყლის მიწისკვეშე წყაროებზე, რაც გამოიყენება სასმელად, სამეურნეო საჭიროებისათვის და სარწყავად (კერძოდ მელიორაციისათვის);

ბ) ტორფის საბადიაზე;

გ) კოდექსის იმ ნაშილისა, რითაც განსაზღვრულია წიაღის დამუშავებისათვის უფლების შეძენის წესი—ურანისა და სხვა რადიოშემცველ მადანის საბადოზე, რომლის ამოღებაც შეადგენს სახელმწიფო მონოპოლიას, რაც ხორციელდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით.

**შენიშვნა.** ყველა, ვინც ამა მუხლის „გ“ პუნქტში გათვალისწინებულ საბადოს აღმოჩენს, ვალებულია ეს გარემოება დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებას; ამასთანავე აღმოჩენს უფლება აქვს მიიღოს აღმოჩენისათვის გასამრჯელო, რაც გაიცემა სსრ კავშირის სამთო დებულების მე-9 მუხლით დადგენილ წესისმებრ.

## ვ ა რ ი II.

### რიალთა გამგებელი დაზარდულებანი.

8. წიაღთა განკარგულება სამთო რეწაობისათვის მათი გამოიყენების მიზნით, გეოლოგიური კვლევისა და სამრეწველო ძიების ორგანიზაცია ქვეყნის სამთო სიმდიდრის გამოსარკვევად, სამთო მრეწველობის ხელმძღვანელობა და მოწესრიგება, სამთო სამუშაოთა სათანადო წარმოებისათვის ზედამხედველობის გაწევა, წიაღთა დაცვა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამთო საწარმოში სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლა არის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში და განხორციელდება ა/კსფს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დირექტივებით და საერთო ხელმძღვანელობით, უკეთუ ამა მუხლში გათვალისწინებული ფუნქციები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ან ა/კსფს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს უშუალო გამგებლობას არ მიეკუთვნება.

9. ამა კოდექსის მე-7 მუხლის გამონაკლისად:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ზოგად-გავრცელებული წიაღისულის საბადოების (მე-13 მუხლის „ა“ პუნქტი) განკარგულების უფლება ეკუთვნის ადგილობრივ საბჭოებს, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყის ტერიტორიაზე—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო ორგანოებს, ხოლო ტრანსპორტისათვის გადაცემული მიწების ტერიტორიაზე—გზითა სახალხო კომისარიატის სათანადო ადგილობრივ ორგანოებს (რეინისგზისა და წყალსავალი გზის) და გზისტერილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ორგანოებს კუთხით მებრ;

ბ) უკვე აღმოჩენილად ცნობილი სამკურნალო წყლებისა და იგრეთვე სამკურნალო მნიშვნელობის მქონე ტალახისა და მარილის საბადოების განკარგულების უფლება ეკუთვნის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისა-

რიატს, ხოლო საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე — ჯანმრთელობის სათანადო ორგანოებს.

აღნიშნულ შემთხვევებში სამთო სამუშაოთა სათანადო წარმოებისათვის ზედამხედველობის გაწევებისა და წიაღითა დაცვის საქმე რჩება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში.

10. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობის საგანგიპოვანო შედგენს:

ა) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სამთო სიმდიდრის აღნიშნება და ამ სიმდიდრეთა ჯუმლობრივი აღნიშნება მთელს რესპუბლიკაში, საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიის შესახები ცნობებითურთ;

ბ) რესპუბლიკანური ხასიათის გეოლოგიური გეოლოგიურ-საკვლეო და გეოლოგიურ-სამიებლო სამუშაოების წარმოება;

გ) განკარგულება ყველა წიაღისა, როგორც პირველად აღმოჩენილი, ისე უკვე აღმოჩენილი საბადოების მიმართ, გარდა საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საბადოებისა და აგრეთვე იმ საბადოებისა, რაც გამორიცხულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობიდან (მუხ. 9);

დ) რესპუბლიკანური და აღგორობრივი მნიშვნელობის საბადოების დამუშავებისათვის სასყიდლის რაოდენობის განსაზღვრა ამა კოდექსის 88 და 90 მუხლების წესისამებრ;

ე) წიაღის შემოსავლის ხარჯთაღრიცხვის შედგენა და როგორც საერთო-საქავშირო, ისე რესპუბლიკანური მნიშვნელობის საბადოების შემოსავლის აღნიშნება;

ე) სამთო-სასარეწაო ზედამხედველობის განხორციელება.

11. აფხაზეთის სსრ, აქარისტენის აგტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის აგტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის ორგანოების გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ყველა სამთო სიმდიდრის აღნიშნება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საერთო ხელმძღვანელობით და მეთავალურეობით;

ბ) ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე სამთო-სასარეწაო ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობით.

12. მე-10 მუხლში აღნიშნულ ფუნქციების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შედგენილობაში მოწყობა სამთო განკოთილება, რომელიც მოქმედობს განსაკუთრებული დებულების საფუძველზე. აღნიშნულ დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მას შემდეგ, რაც იგი წინასწარ შეთანხმებული იქნება ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან — ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამთო რეწაობისათვის წიაღითა სარგებლობის პრინციპების შესახებ გამოცემული დებულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

ამა კოდექსის მე-11 მუხლში გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შეთანხმებით აფხაზეთის სსრ და აკარისტანის ავტონომიური სსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან ან სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სახალხო მეურნეობის ორგანოების შედგენილობაში შეიძლება მოეწყოს სპეციალური სამთო ორგანოები; ეს ორგანოები იმოქმედებენ განსაკუთრებული დებულებების საფუძველზე, რომელი დებულებებიც დატეკიცებულ იქნება ამა მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული წესისამებრ.

**შენიშვნა.** იმ შემთხვევაში, როდესაც ამა მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული სამთო ორგანოები არ მოეწყობა, მე-11 მუხლით გათვალისწინებული ფუნქციები საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე განხორციელდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განცოფილების მიერ იმ გეგმებისა და პროგრამების მიხედვით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს აფხაზეთის სსრ, აკარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის ორგანოებთან—კუთვნილებისამებრ.

### ვ ა რ ი III.

#### სასაჩივაბლო წიაღისეულის საბადოების კლასიფიკაცია.

13. სასაჩივაბლო წიაღისეულის ყველა საბადოები განიყოფებიან უკვე იღმოჩენილ და ჯერ კიდევ აღმომუშენებელ საბადოებად.

უკვე აღმოჩენილ საბადოდ ითვლება:

ა) ყოველგვარი დაგროვება ზოგად - გავრცელებული წიაღისეულისა, როგორიც არის: ყოველნაირი ქვიშა, კენჭეული, ხრეში, ყოველნაირი თიხა (გარდა ცეცხლმძლე და კანგმძლე კაოლინისა და ფერადი კაოლინისა), რიყის ქვა, ქაური, ქვარციტი, სილაქვა, ცარცი, თაბაშირი, ტკილი, კირაქვა, ფიქალი (საწვავის გარდა) და შემდეგი მასივე-კრისტალური ქანი: გრანიტი, ბაზალტი, დიორიტი, სიენიტი, გაბრიო, ანდზენიტი და პორფირი;

ბ) სხვა სასაჩივაბლო წიაღისეულის ისეთი დაგროვება, რის არსებობაც ამა თუ იმ ადგილის დადასტურებული წინად წარმოებული სამთო მუშაობით (ძებნა, ძიება, დამუშავება) ან გეოლოგიური ცნობებით და რაც ამის მიხედვით შეტანილია საყველოთ ცნობისათვის გამოცხადებულ იმ ადგილთა სიაში, რომელიც პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე ძებნისა და ძიების საწარმოებლად დახურულ არიან. ეს ადგილები აღნიშნებიან სიაში ან სათანადო საბადოების ზუსტი საზღვრებით ან, უკეთუ საბადოს ზუსტი საზღვრები გამორკვეული არ არის, იმ ადგილის სახელწილების აღნიშნებით, რომლის ფარგლებშიაც საბადო მდებარეობს. ზემოაღნიშნულ სიას დაამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ა/ქსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან შეთანხმებით; ამასთანავე ეს შეთანხმება მოხდება როგორც საქართველოს

სსრ ეკონომიკური საბჭოს წარდგენით, ისე ა/ქსფსრ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს თაოსნობით.

ყველა დანარჩენი საბაზო ჯერ კიდევ აღმოუჩენელ საბაზოდ ჩაითვლება.

**შენიშვნა.** ნაეთის ხალით საბაზოს აღმოჩენის დროს, პირველი აღმომჩენის საძებნი ფართობის მომიჯვნავე ადგილი, შემოხაზული ხუთეილო-მეტრიანი მხარეებისგან შემდგარ კვადრატად, რომლის დიოგონალები გადაკვეთილია აღმოჩენის პუნქტზე, ხოლო მხარეები სათანადოდ მიმართულია ჩრდილოეთისა, დასაცელეთისა, სამხრეთისა და აღმოსაცელეთისა-კენ, ჩაითვლება ექვსი თვის განმავლობაში, დღიდან აღმოჩენის შესახებ განცხადების მიცემისა, როგორც აღტომატიურად დახურული ნავთის ძებ-ნისა და ძიებისათვის პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე, იმ პირბით კი, რომ საკითხი ამ ადგილის დახურვის შესახებ სამოლოოდ უნდა გადაწყდეს აღნიშვნული ექვსი თვის განმავლობაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ.

14. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უფლება ეძლევა გამოცხადოს ესა თუ ის ადგილი პირობით დახურულად ძებნისა და ძიებისათვის პირველი აღმოჩენის უფლების საფუძველზე, ამისთანავე ამ გამოცხადების შემდეგ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო დაუყოვნებლივ წარუდგენს, საქართველოს სსრ ეკონომიკური საბჭოს მეშვეობით, თავის მოსაზრებებს ამ ადგილის პირობით დახურულად გამოცხადების შესახებ ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რათა ეს მოსაზრებანი შემდგომ წარე-დგინოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. იმ დრომდე, ვიდრე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და-ამტკიცებდეს აღნიშვნულ წარდგენილობას მე-13 მუხლის „ბ“ პუნქტში გათვალი-სწინებული წესისამებრ, განცხადებების მიღება ამა თუ იმ ადგილის ძებნის და ძიებისათვის ნებართვის მიცემის შესახებ არ შეწყდება, ხოლო ამ განცხადებებს მსვლელობა მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო არ დამტკიცებს წარდგენილობას ხერებული ად-გილის დახურვის შესახებ.

15. პირველ აღმოჩენთა ყველა განცხადება, შეტანილი 27 და 28 მუხლების წესისამებრ, ამა თუ იმ ადგილის მე-13 (3. „ბ“) და მე-14 მუხლების საფუ-ძველზე დახურულად გამოცხადების დღემდე, ჩაითვლება ძალის შეონე განცხადებად, თუნდაც ამ განცხადებით ჯერ კიდევ არ იყოს გაცემული ძიების სანებარ-თვო მოწმობა ან მიჩნილი სამთო ნაკვეთი.

16. უკვე აღმოჩენილი ცნობილი საბაზოები თავისი მნიშვნელობის მიხე-დვით განიყოფებიან:

- ა) საერთო-საკავშირო მნიშვნელობის,
- ბ) რესპუბლიკანური მნიშვნელობის და
- გ) ადგილობრივი მნიშვნელობის საბაზოებად.

ის საბაზო, რომელიც, სსრ კავშირის სამთო დებულების მე-19 მუხლის თანახმად, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მეორე საბაზოებს არ მიეცე-ვნება, როგორც საერთო წესი ცნობილი უნდა იქნეს რესპუბლიკანური მნიშვნელო-

ბის მქონე საბადოდ. რესპუბლიკანური მნიშვნელობის საბადოების აღგილობრივი მნიშვნელობის მქონე საბადოების კატეგორიისათვის მიკუთვნება მოხდება ოქსტარ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დაფენილებით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენისაშებრ.

## 3 8 6 0 IV.

სამთო რეზაობისათვის უფლების ფაქტის ზახე.

თ ა ჭ ი 0 1.

## ჯერ აღმოზიდება საპალიერო.

17. ჯერ აღმოუჩენელი საბადო მიეცემა სამთო რეზაობისათვის პირველ აღმომჩენს. აღნიშვნული საბადოს ძებნისა, ძიებისა და დამზადების წესი განისაზღვრება ქვემომდევნო მუხლებით.

18. ძებნად იგულისხმება ისეთი მოქმედება, რაც უშუალოდ მიმართულია სასარგებლო წიაღისეულის საბადოს აღმოსაჩენად, რომელიც ჯერ აღმოჩენილად არ არის ცნობილი.

ძებნა ორგვარია:

ა) ძებნა, რომელიც მდგომარეობს მთის ქანის შეკრებაში, იდგილის გეგმის გადაღებაში, გეოლოგიურ, მაგნიტომეტრიულ, საელექტრო და სხვა გამოკვლევებას და მოქმედებაში, რასაც თან არ სდევს მიწის ქერქის მთლიანობის დარღვევა;

ბ) ძებნა, დაკავშირებული თხრილისა, ჭიათურისა, შტოლნისა და შახტის თხრასთან, შურფირებასთან, ბურლვასთან და საერთოდ ისეთ სამთო მუშაობასთან, რასაც თან სდევს მიწის ქერქის მთლიანობის დარღვევა.

**შენიშვნა.** მიწის ქერქის მთლიანობის დარღვევად არ ჩაითვლება მიწის ზედაპირის ისეთი დაზიანება, რაც დაკავშირებულია საკულევო და საზომი იარაღის დადგმასთან.

19. არავითარი ძებნა არ შეიძლება:

ა) ისეთ აღგილას, რომელიც დახურულია ამა თუ იმ წიაღისეულის საბადოს ძებნისა და ძიებისათვის პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე (მე-13 მუხ., 3. „ბ“);

ბ) ისეთ ფართობზე, რომელიც უკვე გაცემულია სათანადო სახელმწიფო ორგანოს მიერ ამა თუ იმ წიაღისეულის საბადოს საძიებლად ან დასამუშავებლად.

20. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელს დანარჩენ ტერიტორიაზე შეიძლება სწარმოებდეს ორგვე ზემოაღნიშვნული ძებნა:

1) დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოთა ნებართვით, ხოლო უკეთე ძებნა დაკავშირებულია მიწის ქერქის მთლიანობის დარღვევასთან, ამას გარდა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების ნებართვითაც:

ა) ციხე-სიმაგრეებისა და გამაგრებული რაიონების ტერიტორიაზე, აგრე-  
თვე სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის პოლიგონებისა,  
სასროლო მოედნებისა და ჰეროდორომების ტერიტორიაზე იმ განსაკუთრებული  
ნუსხის თანახმად, რომელსაც შეიძლება გვთავაზონის სსრ კავშირის სახალხო შეურწყობის  
უმაღლესი საბჭო სსრ კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომი-  
სარიატოან შეთანხმებით;

ბ) ისეთ მიწებზე, რომელიც მიჩნილი აქვს რეინის გზისა და წყალსავალი  
გზის (შინაგან და საზღვაო) ტრანსპორტს, აგრეთვე ისეთ მიწებზე, სადაც გა-  
ყვანილია გზატეკილი და კერძო სარგებლობის რეინისგზის ზრი ან გამართუ-  
ლია საირიგაციო ნაგებობა და, ამას გარდა, 20 მეტრიან ზოლში, როგორც სა-  
ერთო სარგებლობის, ისე კერძო სარგებლობის რეინისგზებისა და შტოების  
ორთავ მხარეზე;

გ) ხელობლებელი, შეკრული და დაცვითი ტყისა, სასაფლაოებისა, სამთო-  
სასანიტარო დაცვის ოლქისა და კურორტის ტერიტორიაზე, აგრეთვე იმ ნაკვე-  
თების ტერიტორიაზე, სადაც სათანადო ორგანოების სპეციალური დადგენილე-  
ბით გარეშე პირთა შესვლა აკრძალულია;

დ) სანაპირო რაიონებში, რომელიც განისაზღვრება სსრ კავშირის სახალხო  
მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ სსრ კავშირის გაერთიანებულ სახელმწიფო  
პოლიტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით;

ე) ქალაქის ხაზის ფარგლებში, მუშებით დასახლებული და სააგარაკო ად-  
გილების მიწების ხაზის ფარგლებში და აგრეთვე სხვა დასახლებული პუნქტე-  
ბის ტერიტორიის იმ ნაკვეთებზე, რაც დაკავებულია ქუჩებითა და მოედნებით;

ვ) ზედაპირის ისეთ ცალკე ნაკვეთზე, რომელიც საზოგადოებრივი ინტე-  
რესის მიხედვით, მესამე პირთა კანონიერი ინტერესების დასაცავად და აგრეთვე  
სახელმწიფოებრივი ხასიათის სხვა მოსახრებით, შეიძლება დამატებით გათვა-  
ლისწინებულ იქნეს სსრ კავშირისა, ა/ქსფსრ და საქართველოს სსრ მთავრობათა  
განსაკუთრებული დადგენილებით;

2) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო გან-  
ყოფილების ნებართვით მიწის ქერქის მთლიანობის დარღვევასთან დაკავშირე-  
ბული ძებნა შეიძლება:

ა) ისეთ ფართობზე, რომელიც სათანადო ორგანოს მიერ უკვე მიცემული  
აქვს სხვა ვისმე რაიმე სხვა წიაღისეულის საბადოს საძიებლად და დასამუშა-  
ვებლად;

ბ) ვისიმე სამეურნეო სარგებლობაში ქონებულ მიწაზე, უკვეთუ მიწის მო-  
სარგებლე (დაწესებულება, საწარმო, ორგანიზაცია და კერძო პირი) თანახმა არ  
არის ამგვარი ძებნის წარმოებისა;

გ) ვისიმე ნებართვის გარეშე და მიწის მოსარგებლეთა თანხმობის დამოუ-  
კიდებლად—ყველა დანარჩენ შემთხვევაში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყო-  
ფილების ნებართვა გაიცემა ძებნისათვის განსაკუთრებული სანებართვო მოწმო-  
ბის სახით.

ორივე სახის ძებნა ყველა შემთხვევაში შეიძლება უსასყიდლოდ.

**შენიშვნა.** უკეთუ ძებნისათვის საჭიროა სათანადო უწყების ნებართვა, უკანასკნელს შეუძლიან უარი სთვეს ნებართვის გაცემაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ძებნა ნამდვილ და თვალსაჩინო ზიანს უქადის სახელმწიფო ინტერესებს.

21. თვითეული მძებნელი, გინც ძებნას აწარმატებს როგორც სანებართვო მოწმობის თანახმად, ისე უამისოდ, და ვინც პირველმა დაიშუო მიწის სამუშაოები ამა თუ იმ ადგილას, სარგებლობს განსაკუთრებულ უფლებას—აწარმოოს მიწის სამუშაოები იმ ფართობის ფარგლებში, რაც მის მიერ თავდაპირველი მუშაობის დაწყების ადგილის (როგორც ცენტრის) გარშემო შემოხაზულია კვადრატულ, რომლის მხარეებს მიმართულია ჩრდილოეთისა, სამხრეთისა, აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ; კვადრატის მხარეთ სიგრძე განისაზღვრება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ 400 მეტრიდან 1.200 მეტრამდე წიაღისეულისა და მისი ჩაფენილობის ხასიათის მიხედვით.

საძებნი მუშაობა შეიძლება აღნიშნული ფართობის ფარგლებს გარეშეც, უკეთუ აღნიშნული მუშაობით დარღვეულ არ იქნება ამა მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული უფლებები სხვა მძებნელებისა.

იმ ფართობის საზღურები, რომელსაც ამა მუხლის მიხედვით თავდაპირველი დაიკერს მძებნელი, შეიძლება მისი სურვილით გადაწეულ იქნეს ყოველ დროს და ყოველი მიმართულებით, უკეთუ ასეთი გადაწევით ის რა დაიკერს ჟკვე სხვა მძებნელის მიერ დაჭერილ ფართობს.

22. ძებნის სანებართვო მოწმობა გაიცემა უვალოდ იმ რაონის აღნიშვნით, სადაც ძებნა ნებართვულია. ხოლო მძებნელთა მთელი პარტიის წასვლა ან მუშაობის უატრიური წარმოების შეწყვეტა ექვს თვეზე მეტი ხნით მოსპობს მოწმობის მოქმედებას; ამ შემთხვევაში მუშაობის განახლებისათვის საჭიროა ახალი მოწმობის მიღება საერთო წესით.

23. ძებნისათვის სანებართვო მოწმობების მისაცემად დადგენილია შემდეგი წესი:

ა) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილება ძებნითი მუშაობის ნებართვის მიცემის შესახებ განცხადების მიღებისას ან გასცემს ძებნისათვის სანებართვო მოწმობას, ან უარს იტვის ასეთი მოწმობის გაცემაზე; უარის მოტივი წერილობით ეცნობება მძებნელს, უკეთუ უკანასკნელი ამას მოითხოვს;

ბ) უკეთუ მძებნელს ნებართვის მოწმობის მიცემაზე უარი ეთვეა, მას უფლება აქვს ორი კვირის გადაზე, უარის თქმის დღიდან, შეიტანოს საჩივრი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში;

გ) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საჩივრის მიღებისას ერთი თვის გადაზე აცნობებს მძებნელს თვის გადაწყვეტილებას;

დ) სამთო განყოფილება, ვიდრე იგი ნებართვის მოწმობას გასცემდეს, სამი დღის ვადაზე წერილობით შეეკითხება იმ ორგანოს, რომლის გამგებლობაშიაც მიწის ზედაპირია, ხომ არა აქვს რა მას საწინააღმდეგო, რომ უწყებულ იდგილის წარმოებულ იქნეს საძებნი და საძიებლო მუშაობა; შეკითხვაში უნდა აღი-

ნიშნოს — სად მდებარეობს ძებნისათვის მოთხოვნილი ადგილი, ვის განკარგულებასა და სარგებლობაშია და ორგორ არის იგი გამოყენებული;

ე) შეკითხულ ორგანოს შეუძლიან უარი სოჭეს მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში:

უკეთუ მოთხოვნილ ადგილზე გავრცელებულია ამა კოდექსის 20 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ლიტერით დადგენილი შეზღუდვა, ან

უკეთუ განზრაბულ ძებნას და ძიებას შეუძლიან გამოიწვიოს სასოფლო, საქალაქო, სარკინისგზო და თუ სხევ სახელმწიფო მეურნეობის ისეთი არსებითი მოშლა, რომ მისი წარმოება საერთო-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სრულიად შეუძლებელია;

ვ) უკეთუ სამთო განყოფილება შეკითხული დაწესებულებისაგან არ მიიღებს პასუხს ერთი თვის ვადაზე მისთვის შეკითხების ჩაბარების დღიდან, იგი გასცემს სანებართვო მოწმობას; ის დაწესებულება, რომელმაც შეკითხვაზე სამთო განყოფილებას თავის დროზე არ უპასუხა, ჰერგებავს უფლებას — განაცხადოს პროცესტი, როგორც ძებნისათვის, ისე, შემდგომ, ძიებისათვის სანებართვო მოწმობის გაცემის წინააღმდეგ;

ზ) ძებნის სანებართვო მოწმობაში უნდა აღინიშნოს:

1) სწორი სახელმწოდება სამთო მრეწველისა, რომელსაც მოწმობა ეძლევა;

2) სახელდობრ რა და რა სამუშაოს საწარმოებლად არის მიცემული მოწმობა (კრიილი, შერტი, ჭაბურლილი და სხვ.);

3) მოწმობის სამოქმედო ტერიტორიალური ფარგლები გეოგრაფიულ ქორდინატებად;

4) რა სახის ნაკვეთისათვის აქვს მოწმობას ძალა (ტყე, სახნავი, საძოვარი, დაუთესავი და უნარგავი ნაკვეთი და სხვ.);

5) სახელდობრ რა წილისეულის საბაზოს ძებნისათვის არის გაცემული ნებართვა;

6) რა და რა საერთო და სპეციალური მოთხოვნის შესრულებაა საეალდებულო მოწმობაში აღნიშნული საძებნი მუშაობის დროს;

7) რაოდენობა საწინდარისა, რაც შეძნელმა უნდა წარადგინოს იმ ზარალის უზრუნველსაყოფად, რომელიც შეიძლება მისი მუშაობით ნაკვეთის ზედაპირის მოსარგებლებს მოვალეობენ.

**შენიშვნა 1.** საწინდარის რაოდენობას განსაზღვრავს სამთო განყოფილება ნაკვეთის ზედაპირის მოსარგებლებთა შესაძლებელი ზარალის ოდენობის შესაფერისად; საწინდარს სამთო მრეწველი მოწმობის მიღებამდე შეიტანს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დეპოზიტად, ხოლო ეს უკანასკნელი, მოწმობის გაცემის შემდეგ, საწინდარს დაუყოვნებლივ გადაიტანს სააღვილ-მამულო ორგანოს ან ქალაქის საბჭოს დეპოზიტად — კუთვნილებისამებრ.

**შენიშვნა 2.** სახელმწიფო საწარმომ და დაწესებულებამ უნდა აუნაზღაუროს მიწის ზედაპირის მოსარგებლებს ზარალი საერთო საფუძველზე, ხოლო საწინდარის შეტანისაგან იგი თავისუფალია.

24. ნაეთის საბადოს ძებნისათვის ღიაღებულია შემდეგი გამონაკლისი 20, 21 და 22 მუხლებით გათვალისწინებული წესიდან:

ა) სანებართვო მოწმობის მიღება ისეთი ძებნისათვის, რომელიც დაკავშირებულია მიწის ქერქის მთლიანობის დარღვევასთან, საეალდებულოა ყველა შემთხვევაში;

ბ) საძებნი სიცრუე განისაზღვრება 1,5 კვადრატული კილომეტრით; ძებნა ამ ფართობის გარეშე არ შეიძლება;

გ) ნაეთის საბადოს საძებნელად მიჩნილ ფართობზე არ შეიძლება სხვა წიაღისეულის საბადოს ძებნა, გარდა კირასი, ქანცვილისა, ასფალტისა და ბუნებრივი აირისა;

დ) სანებართვო მოწმობაში სისწორით იღინიშნება ნებადართული მიწის სამუშაოს ხასიათი და სახე;

ე) სანებართვო მოწმობა გაიცემა ერთ წელზე არა უმეტესი ხნით.

25. საძებნი მუშაობის დაწერილებითი წესები განისაზღვრება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული ინსტრუქციით.

26. მძებნელი, რომელმაც პირველად აღმოჩინა ჯერ აღმოჩენილად არ ცნობილი საბადო, ითვლება მის პირველ აღმოჩენად.

**შენიშვნა.** საბადოს აღმოჩენად ჩაითვლება საძებნი მუშაობით სასარგებლო წიაღისეულის არსებობისა და მისი ბუნებრივი ჩაფენილობის ფაქტიურად დადგენა.

27. მძებნელი, რომელმაც პირველად აღმოჩინა საბადო და სურს უზრუნველყოს თავისთვის პირველი აღმოჩენის უფლება, ვალდებულია დაუყოვნებლივ ჩააგდოს აღმოჩენის ადგილის ბოძი წარწერით, რომელშიც აღინიშნება: პირველი აღმოჩენის გვარი, სახელი და მამის სახელი, აღმოჩენის დრო და აღმოჩენილი წიაღისეულის სახელშიდება. ბოძის წარწერაში აღინიშნული ცნობები ითვლება სარწმუნო ცნობებად, ვიდრე მათ წინააღმდეგ არ იქნება განცხადებული დავა სხვა პირის მიერ.

28. პირველი აღმოჩენი, რომელმაც აღმოჩენის ადგილზე ჩააგდო ბოძი წარწერით, ვალდებულია, ამის გარდა, ორი თვეს განმავლობაში იღმოჩენის დღიდან, შეიტანოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებაზი განცხადება საბადოს აღმოჩენის შესახებ; განცხადებაში უნდა აღინიშნოს შემდეგი ცნობები:

ა) პირველი აღმოჩენის გვარი, სახელი და მამის სახელი;

ბ) აღმოჩენის ადგილის, შეძლებისდაგვარად, ზუსტი აღწერა; თანაც უნდა აღინიშნოს მიწის ყველა მოსარგებლე და იმ მიწის ზედაპირის გამოყენების ხასიათი (სახნავი, მინდობრი თუ სხვა რამ), სადაც აღმოჩენა მოხდა;

გ) აღმოჩენის დრო;

დ) ადგილდებარეობა განცხადი ნიშნებისა და მათი აღწერა;

ე) განცხადებლის მიერ ძებნის დროს წარმოებული ნამუშევარის აღწერა;

ვ) განცხადებლის ნამდვილი ან იურიდიული მისამარი.

**შენიშვნა.** განცხადებისათვის გადახდილ უნდა იქნეს საღებობა გამოსალები დადგენილი რაოდენობით; იმავე დროს უნდა იქნეს შეტანილი სასყიდელი პუბლიკისათვის.

29. გადის გადაცილებით განცხადების შეტანა შემტანს არ ართმევს პირველი აღმომჩენის უფლებას, უკეთუ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებაში ამ განცხადების შეტანის მომენტისათვის სხვა მძებნელს დაწესებულ ვადაზე არ შეუტანია განცხადება იმავე ფართობზე და იმავე წიაღისეულის საბადოზე.

30. პირველი აღმომჩენი, რომელმაც შეიტანა განცხადება წინა მუხლების წესების დაცვით, ღებულობს განსაკუთრებულ უფლებას უსასყიდლოდ იძიოს მის მიერ აღმოჩენილი წიაღისეულის საბადო განსაზღვრულ ფართობზე.

31. ძიებად პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე იგულისხმება განსაზღვრულ ფართობზე ყოველგვარი სამთო მუშაობის წარმოება, რაც უშუალოდ მიმართულია აღმოჩენილი წიაღისეულის საბადოს სამრეწველო მნიშვნელობის გამოსარყევებად.

32. ძიება პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე სრულიად არ შეიძლება მე-19 მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში. ყველა დანარჩენ ადგილის ძიება შეიძლება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების ნებართვით; ამასთანავე მე-20 მუხ. 1-ლ პუნქტში აღნიშნულ ადგილებსა და მიწებზე ძიების წარმოებისათვის საჭიროა, ამის გარდა, დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოს ნებართვა.

33. უკეთუ კანონით დაწესებულ ვადაზე რამდენიმე პირი მისცემს განცხადებას ერთი და იმავე წიაღისეულის საბადოს ერთი და იმავე ფართობის ფარგლებში აღმოჩენის შესახებ, უფლება საძიებელი ფართობის მიღებაზე აქვს არა იმ პირს, რომელმაც პირველმა შეიტანა განცხადება, არამედ იმას, ვინც პირველმა აღმოაჩინა წიაღისეულის საბადო.

34. დავა მძებნელთა შორის საბადოს აღმოჩენის პირველობის შესახებ განიხილება და გადაწყდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების მიერ.

მძებნელთა პრეტენზიის სისწორეს დაადგენს სამთო განყოფილება მძებნელთა მიერ შესრულებული საძებნი სამუშაოს ადგილობრივ დათვალიერებით და სათანადო მოწმეების დაკითხვით, აგრეთვე ქებნის ადგილის წასელის შედეგად მიღებული ცნობების შედარებით იმ ცნობებთან, რაც აღნიშნული იქნება პირველ აღმომჩენთა მიერ, ამა კოდექსის 28 მუხლის თანახმად, წარდგენილ შუამდგომლობაში ქებნისათვის სანებართვო მოწმობის მიცემის შესახებ.

უკეთუ ადგილობრივი დათვალიერებით მიღებული ცნობები ეწინააღმდეგება 28 მუხლის წესისამებრ მიღებულ ცნობებს, უპირატესობა ამ უკანასკნელ ცნობებს ეძლევა.

**შენიშვნა.** სამთო განყოფილების წარმომადგენლობა საძებნი მუშაობის ადგილის წასელი მოხდება მოდივე პირველ აღმომჩენთა ხარჯით—წასვლის ლირებულების იმ ანგარიშის მიხედვით, რაც აღმომჩენთ წინასწარ ეცნობებათ.

35. სამთო განცყოფილების დადგენილება საბადოს აღმოჩენის პირველობას მიკუთვნების შესახებ უქმაყოფილო მხარეს შეუძლიან განასაჩივროს, ერთი თვის ვადაზე დადგენილების გამოტანის დღიდან, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდულში, რომელიც ორა უგვიანეს ორი კვირისა განიხილავს აღნიშნულ საჩივარს.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდულის დადგენილება საბოლოოა.

**შენიშვნა.** ის პირი, რომელიც არაყეთილისინდისიერად აღძრავს დავას აღმოჩენის პირველობის შესახებ, პასუხს ავებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად.

36. ძიების უფლება პირველი აღმოჩენისათვის მიკუთვნებულად ჩაითვლება იმ დღიდან, რა დღესაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განცყოფილება მისცემს მას ძიების სანებართო მოწმობას.

37. ძიებისათვის სანებართო მოწმობას, წიაღისეულის საბადოს აღმოჩენის ნამდგილობისა და პირველობის დადასტურების შემდეგ, გასცემს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განცყოფილება შემდეგი წესით:

ა) 28 მუხლში აღნიშნული განცხადების მიღებისას, სამთო განცყოფილება დაუყოვნებლივ ჩასწერს მას განცხადებათა დავთარში და, განხილავს რა განცხადებას ფორმალურის მხრით, ან სცნობს, რომ განცხადება არსებითად განსახილებია და ამ შემთხვევაში გასცემს განკარგულებას, რათა გაზ. „კომუნისტში“ მოხდეს პუბლიკაცია მიღებული განცხადების შესახებ, საქმის გარჩევისა და შესაძლებელი მისაგებელის განხილვის დღის აღნიშვნით, და აგრეთვე გამოკკიდებს თავის საღვამში სათანადო განცხადებას და აცნობებს მიღებული განცხადების შესახებ სათანადო ადგილობრივ საბჭოს, ან და უარის ეტყვის განმცხადებელს სანებართო მოწმობის მიღებაზე;

ბ) განმცხადებლის თხოვნაზე უარის თქმა ამ თხოვნის არსებითად განუხილველად შეიძლება შემდეგ შემთხვევაში:

1) უკეთუ განცხადების შემტან პირს სასამართლოს დადგენილებით ჩამორთმეული იქნეს სამთო რეწაობის უფლება;

2) უკეთუ განცხადებაში არ არის 28 მუხლში აღნიშნული ესა თუ ის ცნობა;

3) უკეთუ განცხადება შეეხება სასარგებლო წიაღისეულის ისეთ საბადოს, რომელიც წინად მიეცა სხვა პირს იმავე წიაღისეულის საძებნელად ან დასამუშავებლად;

გ) სანებართო მოწმობის მიცემაზე უარის თქმა შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს განმცხადებლის მიერ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდულში, სამთო განცყოფილების მეშვეობით, ერთი თვის ვადაზე უარის გამოცხადების დღიდან; განმცხადებელს, მისი თხოვნით, უარის მოტივი ეცნობება წერილობით;

დ) ერთი თვის განმავლობაში პუბლიკაციის დღიდან (პ. „ა“) დაინტერესებულ არგანოს და პირს უფლება ეძლევა აცნობოს სამთო-განცყოფილებას თავისი შენიშვნები და მრავალებელი განმცხადებლის აღმოჩენის შესახებ;

ე) უკეთუ საჭირო იქნება, სამთო განყოფილება, ვიდრე იგი გამოიტანდეს გადაწყვეტილებას ძიებისათვის სანებართოო მოწმობის მიცემის შესახებ, გა- სინჯვას აღგილობრივ აღმოჩენილად განცხადებულ საბადოს მოწმეების თანადას- წრებით;

საბადოს აღგილობრივი გასინჯვის შესახებ შესდგება სათანადო აქტი (ოქმი);

ვ) იმ შემთხვევაში, როდესაც სამთო განყოფილებისათვის რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელი იქნება აღგილობრივი გასინჯვის საშუალებით დარწმუნდეს იმაში, რომ პირველი აღმომჩენის მიერ განცხადებული სასარგებლო წილის საბადო ნამდვილად არსებობს, მას უფლება ეძლევა აღმოჩენის ნამდვილობა სკროს მოწმეთა ჩევნების საფუძველზე;

ზ) მას შემდეგ, რაც დადგენილ იქნება განცხადებაში აღნიშნული საბადოს აღმოჩენის ნამდვილობა და პირველობა და ცნობილ იქნება ამა მუხლის „ვ“ პუნ- ქტის წესით განცხადებული ყველა მისაგებელის უსაფუძველობა, სამთო გან- ყოფილება გამოიტანს დადგენილებას, რომ განმცხადებელს მიეკუთვნოს პირველი აღმომჩენის უფლება განცხადებაში დასახელებული სასარგებლო წილის საბადოზე; იმავე დროს სამთო განყოფილება განსაზღვრავს განმცხადებლის საწინდარის რაოდენობას იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც შეიძლება მიწის მიერ შესატანი მოსარგებლეთ მოუკიდეთ საძიებლო მუშაობით;

თ) თავის დადგენილებას სამთო განყოფილება დაუყოვნებლივ აცნობებს იმ ორგანოს, რომლის გამგებლობაშიაც არის მიწის ზედაპირის ნაკვეთები, სადაც განხრახულია ძიების წარმოება და მისცემს განმცხადებელს, წინა პუნქტში აღ- ნიშნული საწინდარის შეტანის შემდეგ, ძიების სანებართო მოწმობას საქარ- თველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამ- ტკიცებული ფორმით;

ი) უკეთუ ძიების სანებართო მოწმობა გაიცემა საძიებლო მუშაობის სა- წარმოებლად იმავე მიწის ნაკვეთზე, სადაც განმცხადებელი აწარმოებდა ძებნას ამა კოდექსის 23 მუხლის წესისამებრ მიცემული სანებართო მოწმობის თანახ- მად, განსაუთრებული შეთანხმება იმ ორგანოსთან, რომლის გამგებლობაშიაც სათანადო მიწის ნაკვეთია, საჭირო არ არის; ყველა დანარჩენ შემთხვევაში ძი- ების სანებართო მოწმობის მიცემამდე და ამა მუხლის „ზ“ პუნქტში აღნიშნუ- ლი საწინდარის რაოდენობის განსაზღვრამდე დაცულ უნდა იქნეს ამა კოდექსის 23 მუხლის „დ“, „ე“ და „ვ“ პუნქტებით გათვალისწინებული წესი.

38. ძიების წარმოება პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე იმ რა- იონში, სადაც წინა მუხლების წესისამებრ სხვა პირის განცხადება უკვე დადას- ტურებულია იმავე წილის საშუალებით ძიებისათვის სანებართო მოწმობის მიცემით, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დადგენილ იქნება (აღგილობრივი გასინჯვით ან სხვა რამ საშუალებით), რომ საბადოს განცხადებული ნაკვეთები იმ ფართობის გარეშე, რომელიც წინად იქნა გაცემული ძიებისათვის პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე.

**შენიშვნა.** ზემო-სანებართოში და ხელშრეთში ოქროს, პლატინის და პლატინის ჯვალის ლითონთა ქვიშრობის ძიების საწარმოებლად სანებარ- თო მოწმობის მიცემისათვის საჭირო არ არის საეალდებულო წინასწარი

საძებნი მუშაობა და აგრეთვე ამ წიაღისეულის საბადოს აღმოჩენის ნამდვილობის დადასტურება.

39. იმ საძიებლო ფართობის ოდენობა, რაც პირველ აღმოჩენს მიეცემა, დადგენილია:

ა) ყველა წიაღისეულისათვის, იმათ გარდა, რაც აღნიშნულია ქვემოდ „ბ“, „გ“ და „დ“ პენტებში, 3-დან 6 კვადრატულ კილომეტრამდე;

ბ) ოქროს, პლატინის და პლატინის ჯგუფის ლითონთა ქვიშრობისათვის 1-დან 5 კილომეტრამდე მდინარის ან ხევის სიგრძეზე, სიგანით ვაკეზე არა უმეტეს 500 მეტრისა მდინარის რუსხულის ან კალაპოტის ოვითეულ ნაპირზე;

გ) ჭაობისა და ტბის მაღანისათვის 5-დან 10 კვადრატულ კილომეტრამდე;

დ) ნავთისათვის—წინად საძებნელად მიჩნილი ფართობის საზღვრების ფარგლებში (24 შეს. „ბ“ პუნქტი).

შენიშვნა. იმ ფართობის გარდა, რაც ამა მუხლით გათვალისწინებულია, პირველ აღმოჩენს შეიძლება მიეცეს დამატებითი საძიებლო ფართობი ხელშეკრულების საფუძველზე.

40. საძიებლო ფართობს, გარდა იმ ფართობისა, რაც მიჩნილია ოქროს, პლატინის და პლატინის ჯგუფის ლითონთა ქვიშრობის და აგრეთვე ჭაობისა და ტბის მაღანისა საძიებლად, უნდა ჰქონდეს კვადრატული ფორმა; ამ კვადრატის მხარეები სათანადოდ მიმართულ უნდა იყოს ჩრდილოეთისა, დასავლეთისა, სამხრეთისა და აღმოსავლეთისკენ.

ოქროს, პლატინის და პლატინის ჯგუფის ლითონთა ქვიშრობის საძიებლო ფართობს შეიძლება არ ჰქონდეს კვადრატული ფორმა, უკეთ იგი განისაზღვრება მდინარის ან მისი კალაპოტის კონფიგურაციის მიხედვით.

ჭაობისა და ტბის მაღანის საძიებლო ფართობი შეიძლება იყოს ყოველგვარი ფორმისა ტბის ან ჭაობის მოხაზულობის მიხედვით.

41. საძიებლო ფართობის ადგილდებარეობას მისი ფორმისა და ოდენობის მიხედვით, 39 და 40 მუხლების წესის შესაბამისად, განსაზღვრავს ოვით პირველი აღმოჩენი იმ პირობით, რომ აღმოჩენის ადგილი საძიებლო ფართობის ფარგლებში შედიოდეს.

42. პირველი აღმოჩენის მიერ ერთი წიაღისეულის საბადოს ძიების წარმოება ვერ დააბრკოლებს იმავე დროს და იმავე ფართობზე შემდგომი შეძენელის ან მაძიებლის მიერ სხვა წიაღისეულის საბადოს ძებნის ან ძიების წარმოებას, ამ ძებნის თუ ძიების ხოლო წარმოება შეიძლება თვითეულ ცალქე შემთხვევაში, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განცოდილების ნებართვით და თანაც იმ პირობით, რომ შემდგომი შეძენელის და მაძიებლის მუშაობამ ხელი არ შეუშალოს პირველ აღმოჩენს, რომელმაც ფართობი უფრო ადრე მიიღო.

43. ძიებისათვის სანებართვო მოწმობის გაცემის დღიდან ყველა შეძენელმა დაუყოვნებლივ უნდა შესწყვიტოს ძებნა პირველი აღმომჩენისათვის საძიებლად მიცემულ ფართობზე; ამასთანავე იმ წიაღისეულის მიმართ, რომლის საბადოს საძიებლად გაცემულია მოწმობა, ძებნა უნდა შესწყდეს აუკილებლად, ხო-

ლო სხვა წიაღისეულის მიმართ—42 მუხ. აღნიშნული წესისამებრ ნებართვის მიღებამდე.

44. საძიებლო მოწმობის მოქმედების ვადა კალკე წიაღისეულისათვის არის შემდეგი:

ა) არასამაღნო წიაღისეულისა და ოქროს, პლატინის და პლატინის ჯგუფის ლითონთა ქვიშრობისათვის—1 წელიწადი;

ბ) მინერალური მიწისქვეშე წყაროებისათვის—2 წელიწადი;

გ) ყველა სხვა წიაღისეულისათვის—3 წელიწადი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უფლება ეძლევა გაადიღოს ამ მცხლში აღნიშნული ვადა:

ა) არა სამაღნო წიაღისეულისა და ოქროს, პლატინის და პლატინის ჯგუფის ლითონთა ქვიშრობისათვის—2 წლამდე;

ბ) მინერალური მიწისქვეშე წყაროებისათვის და ყველა სხვა წიაღისეულისათვის—4 წლამდე.

45. პირველი აღმომჩენი ვალდებულია ძიების მოელი ვადის განმავლობაში ყოველწლიურად დახარჯის საძიებლო ან სხვა სამუშაოზე, რაც უშუალოდ მიმართული იქნება საძიებლო ფართობის ლირებულების გასაღიდებლად (გზების გაყვანა, წყალგადასაშვები ნაგებობის მოწყობა და სხვ.), არა ნაკლებ 500 მანეთისა არასამაღნო წიაღისეულისა და ოქროს, პლატინის და პლატინის ჯგუფის ლითონთა ქვიშრობისათვის, 200 მან.—მინერალური მიწისქვეშე წყაროებისათვის და 500 მან.—ყველა სხვა წიაღისეულისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უფლება ეძლევა ცალკე რაიონებისათვის გაადიღოს აღნიშნული რაოდენობა სავალდებულო ხარჯისა.

პირველი აღმომჩენის პირადი შრომა, გაწეული მის საძიებლო ფართობზე და შეფასებული საძიებლო რაიონში სათანადო კვალიფიკაციის მუშა-ძალის საშუალო ლირებულების მიხედვით, ანგარიშში მიიღება ზემოაღნიშნული გასაწევი ხარჯის განსაზღვრის დროს.

46. პირველი აღმომჩენი ვალდებულია ძიების ყველა შედეგი აცნობოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებას.

47. საძიებლო ფართობი ნატურად არ გაიმიჯნება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას პირველი აღმომჩენი მოითხოვს.

**შენიშვნა.** უკეთუ ძიების სანებართვო მოწმობის გასაცემად საჭირო იქნება სამთო განყოფილების წარმომადგენლის გამგზავრება ადგილზე, აგრეთვე, უკეთუ პირველი აღმომჩენი ითხოვს მისთვის საძიებლად მიჩინილი ფართობის ნატურად გამიჯვნას, ამით გამოწვეულ ხარჯს პირველი აღმომჩენი გადაიხდის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით გამოცემული წესების თანახმად.

48. საძიებლო მუშაობით მოპოვებული წიაღისეული დარჩება პირველი აღმომჩენის სრულს განკარგულებაში რეალიზაციის უფლებით; ამასთანავე ამ წიაღისეულიდან არავითარი ანარიცხი სახელმწიფოს სასარგებლოდ არ გადაი-

დება. ეს წეს არ გავრცელდება ისეთ წიაღისეულზე, რომელიც სსრ კავშირის  
სპეციალური კანონების თანახმად სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს.

იმ წიაღისეულზე, რაც რესპუბლიკანური მნიშვნელობის წიაღის ძიების  
დროს ამოღებულ იქნება სამრეწველო მნიშვნელობის მქონე რაოდენობით, და-  
წესებულია სახელმწიფოს სასარგებლოდ წილადი ანარიცხი ფაქტური ამონა-  
ლებისა იმ რაოდენობით, რასაც დაადგენს ა/ქსტსრ სახალხო მეურნეობის უმაღ-  
ლესი საბჭო სსრ კავშირის სამთო დებულების 82 მუხლით გათვალისწინებული  
ნორმების ფარგლებში.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კამიტეტს ცალკე  
შემთხვევაში უფლება აქვს გაანთავისუფლოს პირველი აღმომჩენი ამა მუხლის მე-  
ორე ნაწილით გათვალისწინებული წილადი ანარიცხის შეტანისაგან.

წილადი ანარიცხის გადახდევინების წესსა და ვადის დაადგენს საქართვე-  
ლოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ ფინანსთა  
სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

49. პირველ აღმომჩენს შეუძლიან ძიების სანებართოო მოწმობა გადასცეს  
სხვა პირს მარტოოდნენ სხნოტარო წესისამებრ შემოწმებული წარწერით, რაც  
შემდგომ უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი  
საბჭოს სამთო განყოფილებას. მოწმობის შემძებელ გადადის პირველი აღმომჩენის  
ყველა უფლება-მოვალეობა.

50. პირველი აღმომჩენი, რომელიც რაიმე მიზეზით საბოლოოდ შესწყვეტს  
ძიებას ისე, რომ არ შეიტანს განცხადებას სამთო ნაკვეთის მისთვის მიჩინის  
შესახებ, ვალდებულია აცნობოს ეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის  
უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებას და აგრეთვე, შეძლებისადაგვარად,  
დაუბრუნოს მიწის ზედაპირს წინანდელი სახე. პირველ აღმომჩენს უფლება  
აქვს 6 თვის განმავლობაში, მუშაობის შესწყვეტის შეტყობინების დღიდან, გაიტანოს  
მიჩინილი ნაკვეთიდან ყველა მის მიერ აგებული შენიბა, გაწყობილობა და მისი  
კუთხით სხვა ქონება. ის ქონება, რასაც პირველი აღმომჩენი ამ ვადაზე არ  
გაიტანს, გადადის სახელმწიფოს განკარგულებაში უსასყიდლოდ.

51. ფართობი, რომელზედაც პირველმა აღმომჩენმა ვადამდე შესწყვეტა მუ-  
შაობა, აგრეთვე ის ფართობი, რომლისათვისაც გაცემული სამიებლო მოწმობის  
ვადა გავიდა და თანაც მის შესახებ დაწესებულ ვადაზე არ შესულა განცხადება  
დასამუშავებლივ მიჩინის თაობაზე, თავისუფალია ძებნისა და ძიებისათვის  
პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე.

52. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო  
განყოფილება, რომელიც განაგებს განცხადებათა მიღებისა და ძიების სანებარ-  
თო მოწმობების გაცემის საქმეს, აწარმოებს მათ ზედმიწევნით აღრიცხვას სა-  
ქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წე-  
სისამებრ.

განცხადებებისა და ძიებათა სანებართვო მოწმობების დაფრების დაფა-  
ლიერება ყველას უნდა შეძლოს.

53. პირველი აღმომჩენი ჰერიგავს თვის უფლებას და მისთვის მიცემული  
ძიების სანებართვო მოწმობა ძალადგარებულად ჩაითვლება:

- იმ ვადის გასელის შემდეგ, რა ვადითაც გაცემულია მოწმობა (მუხ. 44);
- უკეთუ შესრულებულ არ იქნა მოთხოვნა საგალდებულო ხარჯის გაწე-

ვის შესახებ საძიებლო და სხვა სამუშაოს წარმოებისათვის, რაც მიმართულია საძიებლო ფართობის ლირებულების გასადიდებლად (მუხ. 45);

გ) უკეთ დაჭრილი ფართობი სანებართვო მოწმობაში აღნიშნულ ფართობზე მეტი იქნება.

ამა მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ძიების სანებართვო მოწმობის ძალადაკარგულად აღიარება მოხდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების დადგენილებით. ეს დადგენილება შეიძლება განსაჩინორებულ იქნეს ერთი თვის განმავლობაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რომლის დადგენილებაც საბოლოოა.

ამა მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ძიების სანებართვო მოწმობის ძალადაკარგულად აღიარება მოხდება სასამართლოს გადაწყვეტილების წესით, რისთვისაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილება აღძრავს სარჩელს პირველი აღმომჩენის წინააღმდეგ სათანადო სასამართლო დაწესებულებაში.

**შენიშვნა.** უკეთ სანებართვო მოწმობა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი, პირველი აღმომჩენის კუთვნილი ქონების საქითხი და აგრეთვე მიწის შედაპირის წინანდელი სახის აღდგენის საქითხი გადაწყვდება 50 მუხლით დადგენილი წესების თანახმად.

54. ერთი კერძო პირის (ფიზიკურის თუ იურიდიულის) განკარგულებაში არ შეიძლება ერთ სამთო-სამრეწველო რაიონში ერთსა და იმავე დროს ერთი და იმავე წიაღისეულის საბაზოს საძიებლოა სამ საძიებლო ფართობზე მეტი იყოს მიუხედავათ იმისა, ემყარება ეს განკარგულება დამოუკიდებელი პირველი აღმოჩენის უფლებას, თუ სხვა პირისაგან შეძენილ ძიების სანებართვო მოწმობას.

საქართველოს მთელი ტერიტორია იყოფა სამთო-სამრეწველო რაიონებად; ამ რაიონების საზღვრებს, ფიზიკურ-გეოგრაფიული, გეოლოგიური და ეკონომიკური პირობების მიხედვით, დაწესებს საქართველოს სსრ ეკონომიკური საბჭო და გამოაქვეყნებს საყოველთაო ცნობისათვის.

55. ნავთის საბაზოს შესახებ განცხადების მიღებისა, ძიების სანებართვო მოწმობის გაცემისა და ძიების წარმოებისათვის დადგენილია შემდეგი გამონაკლისი საერთო წესისა:

ა) ძიების სანებართვო მოწმობა შეიძლება გაიცეს არა მარტო იმ შემთხვევე-ვაში, როდესაც ნავთის საბაზო ფაქტიურად აღმოჩენილია, არამედ მაშინაც, როდესაც ძებნითი მუშაობით გამოირკვევა ნავთიანობის ისეთი ნიშნები, რომელიც საუფერელს იძლევა ვიფიქროთ, რომ ფართობის შემდგომი ღმა ბურღვის შედეგად აღმოჩენილ იქნება ნავთის საბაზო;

ბ) პირველ აღმომჩენს, რომელმაც ძიების სანებართვო მოწმობა მიიღო, უფლება აქვს ნავთის ძიებასთან ერთად იმავე მოწმობით აწარმოოს ქვიშიანი ფისის, ქანცვილის, ასფალტისა და ბუნებრივი აირის ძიებაც; ამ ფართობზე სხვა წიაღისეულის ძიება, ზოგად გავრცელებულ წიაღისეულის გარდა, თვით პირველ აღმომჩენს შეუძლიან აწარმოოს მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების სპეციალური ნებართვით; ძი-

ება რომელიმე სხვა სასარგებლო წითლის ულისა სხვა სამთო მრუწველის შეკრიცია არ შეიძლება;

გ) საძიებლო მუშაობის დასრულებისას პირველი აღმომჩენი ვალდებულია დასტოვოს უსაყიდლოდ მის მიერ იმ ქაბურლების ჩიდგმული სამაგრი მიღები, რომელთაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილება უჩვენებს, და გადატკეპნოს მათ შორის ისინი, რომელთა ლიკვიდაციას გადასწყვეტს იგივე განყოფილება.

56. მინერალური წყლების მიწისქვეშე წყაროებისა, აგრეთვე სამკურნალო მნიშვნელობის ტალახისა და მარილის საბადოს შესახებ განცხადების მიღებისა, ძიების სანებართო მოწმობის გაცემისა და თვით ძიების წარმოებისთვის დადგენილის საერთო წესის შემდეგი გამონაკლისი:

ა) თვითეული მინერალური წყაროს და აგრეთვე სამკურნალო მნიშვნელობის ტალახისა და მარილის საბადოს აღმომჩენის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილება დაუყოვნებლივ, განცხადების მიღებისთანავე, აცნობებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და აგრეთვე აფხაზეთის სს რესპუბლიკისა, აქარის სტანის ავტონომიური სს რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის სათანადო ორგანოებს იმისდამიხედვით, თუ რომელი რესპუბლიკის ან ოლქის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მინერალური წყარო ან სამკურნალო მნიშვნელობის ტალახისა, თუ მარილის საბადო;

ბ) ძიების სანებართო მოწმობა მიეცემა პირველ აღმომჩენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ წინა პუნქტში აღნიშნული ჯანმრთელობის სათანადო ორგანოები საჭიროდ არ სცნობენ იქისრონ წყაროს ან ტალახისა თუ მარილის საბადოს ძიება;

გ) უკეთუ ჯანმრთელობის ორგანოები იქისრებენ წყაროს ან ტალახისა თუ მარილის საბადოს ძიებას, მათზე გადავა პირველი აღმომჩენის ყველა უფლება, ხოლო იმ პირობით, რომ სანამ ძიებას შეუდგებოდნენ აღნიშნული ორგანოები ვალდებულ არიან აუნაზღაურონ ფაქტურ პირველ აღმომჩენს წყაროს, ტალახის ან მარილის აღმოჩენით გამოწვეული ხარჯი (პირველი აღმომჩენის პირადი შრომის აღნუსხვით, რაც შეფასებულ უნდა იქნეს 45 მუხლის უკანასკნელი აბზაციის თანახმად), და მისცენ მას განსაუზრებული წამახალისებელი პრემია არა ნაკლებ აღნიშნული ხარჯების 10-კეტი რაოდენობისა;

დ) წყაროს სამრეწველო მნიშვნელობის გამორკვევის გარდა, პირველი აღმომჩენი ვალდებულია გამოარევიოს მისი დებეტი და შეადგინოს დასაცავი ზონის საზღვრების პროექტი, რომლის ფარგლებშიაც წყაროს დაცვის მიზნით სამთო მუშაობა უნდა იქნეს აკრძალული, ან ეს მუშაობა შეიძლება სწარმოებდეს განსაზღვრული პირობების დაცვით.

57. პირველ აღმომჩენს, რომელიც საძიებლად დაწესებული ვადის გასვლამდე განუცხადებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებას, რომ მას სურს შეუდგეს დამუშავებას, უფლება აქვს მიიღოს განსაზღვრული რიცხვი სამთო ნაკვეთებისა შის მიერ აღმოჩენილი წიაღი-

სეულის საბადოს დასამუშავებლად. განცხადებაში უწიდა ალინიშნოს: ცნობები, ძიების შედეგების შესახებ, რიცხვი მისაჩენად ნათხოვი სამთო ნაკვეთებისა, მათი საზღვრები და მიწის იმ ზედაპირის უბნების საზღვრები, რაც საჭიროა საბადოს დასამუშავებლად.

58. სამთო ნაკვეთები მე-20 მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნულ ადგილებსა და მიწებზე შეიძლება მიჩნილ იქნეს მხოლოდ დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოთა ნებართვის მიღების შემდეგ.

59. სამთო ნაკვეთად იგულისხმება მიწის წიაღის ნაწილი, შემოფარგლული სიბრტყეებით, რომელნიც შვეულად გადიან საზღვრებზე, რაც მიწის ზედაპირზე აღნიშნულია სპეციალური მისაჩენი ნიშნებით.

60. პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე მისაჩენი სამთო ნაკვეთის ოდენობა დაწესებულია თანასწორი ყველა წიაღისეულისათვის, გარდა ნაეთისა და მინერალური წყაროებისა (81 მუხ. „ა“ პუნქტი და 84 მუხ. „ა“ პუნქტი), — ერთი კვადრატული კილომეტრი ზედაპირის ფართობზე.

აღნიშნული ფართობის ფორმას განსაზღვრავს პირველი აღმომჩენი თავისი შეხედულებისამებრ იმ პირობით, რომ ეს ფორმა, შეძლებისადაგვარად, სწორულებრივი იყოს და ამასთან მისი სიგანე სიგრძის ერთ მესამედს მაინც უდრიდეს. ოქროს, პლატინისა და პლატინის ჯვალის ლითონთა ქვიშრობის საბადოს მისაჩენი ნაკვეთის სიგანე, ყოველ შემთხვევაში, 200 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს.

61. პირველ აღმომჩენს უფლება აქვს მის მიერ აღმომჩენილი წიაღისეულის საბადოს დასამუშავებლად ერთი ძიების სანებართვო მოწმობით მიღლოს არა უმეტეს სამი სამთო ნაკვეთისა.

62. 61 მუხლით განსაზღვრული სამთო ნაკვეთების მაქსიმალური რიცხვის ფარგლებში ერთი სანებართვო მოწმობით პირველ აღმომჩენს უფლება აქვს მიიღოს იმდენი ნაკვეთი, რამდენსაც მოისურვებას. მთის ნაკვეთები ერთი სანებართვო მოწმობით აუცილებლად ერთსა და იმავე დროს უნდა იქნეს მიღებული.

63. ერთი კერძო პირის (ფიზიკურის თუ იურიდიულის) განკარგულებაში, ერთ სამთო-სამრეწველო რაიონში, ერთსა და იმავე წიაღისეულზე, თუნდაც სხვა-დასხვა საბადოს შედგენილობაში, არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყოს სამთო ნაკვეთების იმ რიცხვშე მეტი, რაც ამ პირს შეეძლო მიეღო საძიებელი ფართობების მაქსიმალური რიცხვით (მუხ. 54 და 61), მოუხედავად იმისა, მიღებული აქვს მას ეს ნაკვეთები უშუალოდ მისი კუთვნილი ძიების სანებართვო მოწმობით (მუხ. 57), თუ შეიძინა სხვა პირისაგან (მუხ. 68) ან საჯარო ვაჭრობით (მუხ. 73).

64. სამთო ნაკვეთის ფართობი შეიძლება არ ფარავდეს იმ ფართობს, რაც პირველ აღმომჩენს მიეცა წინათ ძიებისათვის, უკეთუ არის ორი შემდგომი პირობა:

ა) რომ პირველი აღმომჩენის მიერ ნათხოვ ერთ-ერთ სამთო ნაკვეთში მაინც შედიოდეს საძიებლო ფართობის რომელიმე ნაწილი;

ბ) რომ მის მიერ ნათხოვი ნაკვეთების ფართობი არ ფარავდეს იმ ფართობს, რომელიც ვისიმეს მიერ დაჭრილია წინათ მიწის ქერქის მთლიანობის

დარღვევასთან დაკავშირებული ქებნის წარმოებისათვის ან დაჭრილია საძიებლო მუშაობისათვის იმ ნებართვის თანახმად, რასაც გასცემს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილება.

65. უკეთუ პირველ აღმომჩენის ერთ სამთო ნაკვეთზე მეტი მიერა, ყველა ნაკვეთები რაც შეიძლება მეტი მხარეებით უნდა ეკვროდნენ ერთი ცეორეს.

66. პირველი აღმომჩენისათვის სამთო ნაკვეთის მიცემა, მას შემდეგ, რაც ამ ნაკვეთის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილება ნატურად გამიჯნავს, დადასტურდება სპეციალური მიჩნის ქეტით, რასაც აღნიშული განყოფილება მისცემს პირველ აღმომჩენის თვითეულ სამთო ნაკვეთზე ცალკე.

სამთო ნაკვეთის ნატურად გამიჯნავა მოხდება პირველი აღმომჩენის ხარჯით.

67. სამთო ნაკვეთი მიეცემა პირველ აღმომჩენის მის მიერ აღმოჩენილი საბადოს დამუშავებამდე.

68. პირველ აღმომჩენის შეუძლიან თავისი უფლება სამთო ნაკვეთზე დაუთმოს ან დაუგირაოს სხვა პირს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების თანხმობით.

სამთო ნაკვეთის დათმობა ან დაგირავება მოხდება სამისაჩენო აქტზე წარწერის გაკეთებით, რაც შემოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესისამებრ და რაც შემდგომ უნდა აღინიშნოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების სათანადო დავთრებში. სამთო ნაკვეთის უფლებასთან ერთად შემძრნებე გადადის პირველი აღმომჩენის ყველა მოვალეობა.

69. პირველ აღმომჩენის უფლება აქვს ამოილოს მისთვის მიცემულ სამთო ნაკვეთზე, მის მიერ უკვე აღმოჩენილი წიალისეულის გარდა, ყველა სხვა წიალისეული, რაც კი შეიძლება აღმოჩენილ იქნეს მის მიერ შემდგომ, უკეთუ ამ წიალისეულის მიმართ ესა თუ ის ადგილი გამოცხადებული არ არის დახურულად პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე. იმასთანავე უკეთუ წიალისეული შედის იმ წიალისეულის საბადოს შედეგნილობაში, რომლის დასამუშავებლადაც გაცემულია მიჩნის აქტი, მისი დამუშავება შეიძლება ახალი მიჩნის აქტის მიუღებლად იმ პირობით კი, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ გადადებულ იქნეს სათანადო წილადი ანარიცხი საერთო საფუძველზე; ხოლო სხვა წიალისეულის დამუშავების უფლება გაფორმებულ უნდა იქნეს დამატებითი მიჩნის აქტით.

70. იმ წიალისეულის გარდა, რომლის ამოსაღებადაც გაცემულია მიჩნის აქტი, პირველ აღმომჩენის უფლება აქვს, მისთვის მიცემული სამთო ნაკვეთების ფარგლებში, განსაკუთრებული ნებართვის მიუღებლად და უსასყიდლოდ, დაამუშაოს საბადო იმ წიალისეულისა, — ზოგად-გაურცილებულ წიალისეულთაგან, — რაც მისთვის საჭიროა სამთო და სამთო-საქართველოს მუშაობის სათანადოდ დასაყინებლად, კერძოდ, დამუშავებული სივრცის ამოსახებად ან ამოღებული წიალისეულის დასამუშავებლად, სამშენებლო და საგზაო მუშაობისათვის.

ზენიშვნა. სამთო ნაკვეთებში ზოგად-გაურცილებულ წიალისეულის დამუშავების წესებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

71. სამთო ნაკვეთის ერთი პირისათვის მიცემა ერთი წილისეულის და-  
სამუშავებლად ვერ დააბრკოლებს იმავე ნაკვეთის ფარგლებში სხვა პირის მიერ,  
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სამთო განყოფილების ნებართვით, სხვა  
წილისეულის საბადოს ძებისა, ძიებისა და დამუშავების წარმოებას, ხოლო  
ამისათვის საჭიროა:

ა) რომ სხვა პირის სამთო მუშაობა ხელს არ უშლიდეს პირების მუშაობას;

ბ) რომ წილისეული, რომლის აღმოსაჩენადაც სხვა პირი აწარმოებს ძებ-  
ნით და საძიებლო მუშაობას, ცალკე საბადოში იყოს, და რომ შემდგომ მისი  
დამუშავება არ შეეხოს იმ საბადოს, რომელსაც ამუშავებს ამა თუ იმ ნაკვეთის  
პირველად მიმღები პირი ან მისი უფლების მონაცვლე.

72. პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე მიცემული სამთო ნაკვე-  
თის დამუშავება სავალდებულო არ არის, ხოლო პირველი აღმომჩენი, რომელიც  
არ შეუდგება წილისეულის ფაქტურად მოღებას ან შეიჩერებს მას, ყოველ-  
წლიურად გადაიხდის სპეციალურ მიჩენის სასყიდეს იმ რაოდენობით, რასაც  
დააწესებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო საქართვე-  
ლოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით და, ამის გარდა,  
ერთი წლის შემდეგ ნაკვეთის მიღების დღიდან, ყოველწლიურად გაიღებს ხარჯს  
ნაკვეთის ღირებულების გასაღიღებლად, არა ნაკლებ 45 მუხლით გათვალისწი-  
ნებული რაოდენობისა.

პირველ აღმომჩენს, რომელმაც ერთ სამთო ნაკვეთზე ჩეტი მიღლო, უფლება  
აქვთ ყველა ნაკვეთისათვის სავალდებულო ხარჯის მთელი თანხა მოათავსოს ერთ  
რომელსამე ნაკვეთზე.

ღირებულების გამადიდებელ ხარჯად იგულისხმება ხარჯი როგორც სა-  
ექსპლოატაცია მუშაობისა, ისე ყოველგვარი მოსამზადებელი მუშაობისათვის:  
გზების მოწყობა, თხრილების გაყვანა, გაწყობილობის შეძენა და სხვ. სამთო  
მრეწველის პირადი შრომა შეფასდება და ჩაითვლება აღნიშნულ ხარჯში 45 მუხ-  
ლის უკანასკნელ აბზაცში გათვალისწინებულ საფუძველზე.

73. უკვეთ პირველი აღმომჩენი არ დაამუშავებს სამთო ნაკვეთს, რომლის  
დამუშავებაც ეკონომიკურად შესაძლებელია და სახელმწიფო თვალსაზრისით გან-  
საკუთრებით სასურველი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს  
საბჭოს შეუძლიან მისცეს პირველ აღმომჩენის განწესი სავალდებულო მინიმა-  
ლური ამოღების წარმოებისათვის და, თუ იგი უარის იტყვის ამ განწესის შე-  
სასრულებლად მიღებაზე, მიაქციოს ამ ნაკვეთის დამუშავების უფლება გასაყი-  
დად საჯარო ვაკრობით. ის პირი, რომელიც საჯარო ვაკრობით შეიძენს ნაკვე-  
თის დამუშავების უფლებას, ამით კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს სა-  
ქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს აღნიშნული განწესი.  
საჯარო ვაკრობით აღებული თანხა, ვაკრობის წარმოებისათვის გაწეული ხარ-  
ჯის გამოყენებით, გადაღის პირველი აღმომჩენის სასარგებლოდ. განწესის მიცე-  
მისა და საჯარო ვაკრობის წარმოების წესები განისახლებება საქართველოს სსრ  
სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ.

74. პირველ აღმომჩენს, მისთვის მიცემული სამთო ნაკვეთებისა და მიწის  
ზედაპირის ფარგლებში, უფლება აქვს მოაწყოს სამთო-მაღნო და სამთო-საქარხნო

სამუშაოსათვის საჭირო ტექნიკური ნაგებობანი, სარეცხი ფაბრიკები და ქარხნები, სამეურნეო მიზნებისათვის საჭირო შენობანი და მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი შენობანი და აგრეთვე გაიყვანოს გზები.

75. პირველ აღმომჩენს ყოველ დროს შეუძლიან უარი სთქვას მისთვის მიცემულ ყველა სამთო ნაკვეთზე ან მათ ნაწილზე.

76. პირველი აღმომჩენი ჰქარგავს უფლებას მიჩნილ ნაკვეთზე, 73 მუხლში აღნიშნული შემთხვევის გარდა, აგრეთვე შემდეგ შემთხვევაშიც:

ა) უკეთუ დარღვეულ იქნა ნაკვეთის სხვა პირისათვის დათმობის წესი (მუხ. 68); \*

ბ) უკეთუ ორჯერ დარღვეულ იქნა მოთხოვნა სავალდებულო ხარჯის გაწევის შესახებ (მუხ. 72).

77. უკეთუ პირველი აღმომჩენი ნებაყოფლობით უარს იტყვის მისთვის მიცემულ ყველა სამთო ნაკვეთზე ან მათ ნაწილზე (მუხ. 75), აგრეთვე უკეთუ იგი დაჰკარგავს უფლებას ნაკვეთზე (მუხ. 73 და 76), მას ნება ეძლევა ექვთი თვის ვადაზე, უარის თქმის ან უფლების დაკარგვის დღიუან, გაიტანოს მისთვის მიცემული ნაკვეთიდან ყველა მის მიერ აშენებული ნაგებობა, გაწყობილობა და სხვა მისი კუთხინილი ქონება, გარდა გაშუბობილობის ისეთი საგნებისა, რომელთა გატანაც შეუძლებლად გახდის სამშაოზე უშიშრად მისევლის. ის ქონება, რაც ამ ვადაზე გატანილ არ იქნება, გადადის სახელმწიფო განკარგულებაში უსასყიდლოდ.

78. პირველი აღმომჩენი ვალდებულია, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი ფორმით და წესით აწარმოოს მის მიერ ამოღებული წიაღისეულის ზუსტი აღნუსხეა.

79. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარდგენისამებრ ახლად აღმოჩენილი საბადო შეიძლება საქართველოს სსრ ეკონომიკური საბჭოს დადგენილებით, ცნობილი იქნეს განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის საბადოდ და დატოვებულ იქნეს სახელმწიფოს განკარგულებაში პირველი აღმომჩენისათვის სამთო ნაკვეთების მიუცემლად.

ამა მუხლში გათვალისწინებული წესისამებრ ახლად აღმოჩენილი საბადო შეიძლება ცნობილ იქნეს განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის საბადოდ აგრეთვე ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით.

ზემოაღნიშნულ დადგენილებათა გამოტანა შეიძლება მხოლოდ პირველი აღმომჩენისათვის მიჩნის აქტის მიცემის მომენტამდე და ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს სამი თვისა ამ აქტის მიცემის შესახებ შუამდგომლობის აღქრის დღიდან.

უკეთუ პირველ აღმომჩენს სამთო ნაკვეთები არ მიეცემა, მას, გარდა იმ დადასტურებული ხარჯის ანაზღაურებისა, რაც მან ნამდვილად გასწია ამა თუ იმ საბადოს ძებნასა და ძიებაზე, მიეცემა,—მისივე რჩევით,—ან განსაკუთრებული წამახალისებელი პრემია აღმოჩენისათვის არა ნაკლებ აღნიშნული ხარჯების თანხის ათვეცი რაოდენობისა, ან და ამ საბადოს ექსპლოატაციით მიღე-

ბულ მოგებაში მონაწილეობის უფლება იმ ფორმითა და ოდენობით, რაც მას წინასწარ გამოცხადება.

80. პირველი აღმომჩენი, რომელმაც მიიღო სამთო ნაკვეთი და შეუდგა მის მიერ აღმომჩენილი წიაღისეულის საბადოს დამუშავებას, გადახხდის სახელ-მწიფოს სასახუბლოდ ფაქტიურად ამოღებული წიაღისეულის წილად ანარიცხს; ამ ანარიცხის მტერცე რაოდენობას ცალკეული წიაღისეულისა და ცალკეული სამთო-სამრეწველო რაიონებისათვის განსაზღვრავს ა/კსტარ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო არა უმტეტეს  $5\%$ -სა ნაეთისათვის და  $3\%$ -სა ყველა დანარჩენი წიაღისეულისათვის.

წილადი ანარიცხი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს როგორც ნატურად, ისე ფულადი ექვივალენტით. წილადი ანარიცხის გადახდევინების წესსა და ვა-დას განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ცალკეული წიაღისეულის საბადოს დამუშავება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე ან მის ცალკე რაიონებში შეიძლება, შრო-მისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, საესპერიტო განთავისუფლებულ იქნეს წილადი ანარიცხის გადახდისაგან მოელი დროის განმავლობაში ან განსაზღვრული ვადით.

81. პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე ნაეთის საბადოს დასამუ-შავებლად სამთო ნაკვეთის მიცემისათვის დადგენილია საერთო წესის შემდეგი გამონაკლისი:

ა) ერთი სამთო ნაკვეთის ოდენობა დაშესებულია  $1/15$ -დი იმ ფართობისა, რაც მიიცემა ნაეთის საბადოს საძიებლად;

ბ) სამთო ნაკვეთები არ უნდა სცილდებოდეს საძიებლო ფართობის ფარგ-ლებს, მათი სიგანე სიგრძის ერთ მესამედუნ ნაკლები არ უნდა იყოს და უშუა-ლოდ ერთი-მეორის გვერდით უნდა მდებარეობდენ;

გ) ნაკვეთის ფართობის ორ მხარეს მერიდიანალური მიმართულება უნდა ჰქონდეს;

დ) საძიებლო ფართობი, რაც დარჩება პირველ აღმომჩენისათვის სამთო ნაკვეთების მიჩენის შემდეგ, გადადის სახელმწიფოს განკარგულებაში და შემ-დგომ შეიტანება მე-13 მუხ. (პ. „ბ“) გათვალისწინებულ სიაში;

ე) მიჩენილი სამთო ნაკვეთის ფარგლებში პირველ აღმომჩენს, ნაეთის გარ-და, უფლება აქვს, განსაკუთრებული მიჩენის აქტის გარეშე, აწარმოოს ქვიშიანი ფისის, ასევალტის, ქანცცილისა და ბუნებრივი აირის ამოღება;

ვ) ნაეთის დასამუშავებლად მიჩენილი სამთო ნაკვეთის ფარგლებში ძებნა, დაკავშირებული მიწის ქერქის მთლიანობის დარღვევისთან, აგრეთვე ძიება და დამუშავება სხვა წიაღისეულის საბადოსი სხვა სამთო მრეწველის მიერ არ შე-იძლება. ძიება და დამუშავება სხვა წიაღისეულისა, ამა მუხლის „ე“ პუნქტში აღნიშვნულის გარდა, თვით პირველი აღმომჩენის მიერ შეიძლება წირმოებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების სპეციალური ნებართვით;

ზ) ნავთის საბადოს პირველი აღმომჩენი, ყოველწლიური სავალდებულო ხარჯის გაშევის გარდა (მუხ. 72), ვალდებულია შეაფინოს მთლად მისთვის მიჩენილი ფართობის გეოლოგიური რუქა ერთ სანტიმეტრში 50 მეტრის გას-შრაბით.

82. ნავთის საბადო შინამრეწველური წესით დასამუშავებლად გაიცემა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცემული განსაკუთრებული წესების თანახმად.

83. პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე ოქროს, პლატინისა და პლატინის ჯგუფის ლითონთა ქვიშრობის დასამუშავებლად სამთო ნაკვეთის მიჩენისათვის ზემო-სევანეთში და ხევსურეთში, დადგენილია საერთო წესის ზემ-დიგი გამონაკლისი:

ა) მძებნელს, რომელმაც აღმოაჩინა ოქროს, პლატინისა და პლატინის ჯგუ-ფის ლითონთა ქვიშრობი და რომელმაც თავისთვის პირველი აღმომჩენის უფ-ლების უზრუნველსაყოფად შეასრულა 27 და 28 მუხლებში გათვალისწინებული მოქმედება, შეუძლიან მიიღოს სამთო ნაკვეთი დასამუშავებლად წინასწარი ძიე-ბის მოუხდენლად იმ პირობით, უკეთ მის მიერ ნათხოვნი ნაკვეთის ფარგლებში სხვა სამთო მრეწველი არ აწარმოებს ძებნას და ძიებას საქართველოს სსრ სა-ხალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების ნებართვის სა-ფუძველზე;

ბ) პირველ აღმომჩენს, რომელმაც ძიება დაამთავრა ძიების სანებაროვო მოწმობის საფუძველზე, აგრეთვე მძებნელს, რომელმაც ითხოვა ნაკვეთის მიჩენა ამა შესლის „„“ პუნქტის წესით, უფლება აქეს, სამთო განყოფილების ნე-ბართვით, აწარმოოს მისთვის მიჩენილი სამთო ნაკვეთის დამუშავება მისი (ნაკვე-თის) ნატურად გამიჯვნამდე. ასეთ შემთხვევაში მიჩენის აქტის ნაცვლად მას მი-ეცემა დამუშავებისათვის წინასწარი მოწმობა. სამთო ნაკვეთის ნატურად გამი-ჯვნა უნდა მოხდეს არა უგიინეს ორი წლისა დამუშავებისათვის წინასწარი მოწმობის გაცემის დღიდან და ამავე დროს ეს მოწმობა უნდა შეიცვალოს მი-ჩენის აქტად.

84. პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე სამთო ნაკვეთის მიცემი-სათვის როგორც სამუშარნალო, ისე არასამუშარნალო მინერალური წყა-როების საექსპლორაციოდ და აგრეთვე სამუშარნალო ტალახისა და მარილის სა-ბადოს საექსპლორაციოდ დადგენილია საერთო წესის შემდეგი გამონაკლისი:

ა) სამთო ნაკვეთის ოდენობა მინერალური წყლების წყაროს ექსპლორა-ციისათვის განისაზღვრება ერთიდან ორ პუნქტარამდე,—წყაროს საბადოს ხასია-თის მიხედვით;

ბ) პირველ აღმომჩენს არ შეუძლიან მიიღოს ერთ სამთო ნაკვეთზე მეტი თვეთეულ საძიებლო სივრცეზე;

გ) სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქისა და დასაცავი ზონის ფარგლებში სხვა წიაღისეულის საბადოს ძებნის, ძიების და დამუშავების წარმოება როგორც თვით პირველი აღმომჩენის მიერ, ისე სხვა სამთო მრეწველის მიერ შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო გა-ყოფილების ნებართვით, რომელიც გაიცემა ჯანმრთელობის სათანადო ორგა-

ნოებთან შეთანხმებით მას შემდეგ, რაც გამოირკვევა, რომ აღნიშნული მუშაობა არ არის საშიში თვით წყაროს დაცვისათვის.

**შენიშვნა.** მინერალური წყლების წყაროების და აგრეთვე ტალახისა და მარილის საბადოს სამთო-სანიტარული დაცვის ოლქს და დასაცავ ზონას თვითეულ ცალკე შემთხვევაში განსაზღვრავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ან აფხაზეთის სსრ, აქარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის სათანადო ორგანოები—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებასთან შეთანხმებით.

თ ა ვ ი 2.

### უკვე აღმოჩენილი საბადოები.

85. უკვე აღმოჩენილი საბადო და აგრეთვე წინანდელ სამუშაოთა გადანაყორი მიეცემა სამთო მრეწველს დეტალურად ძიებისა ან დამუშავებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე.

სახელმწიფო სამთო და სამთო-საქარხნო საწარმოს უკვე აღმოჩენილი საბადო შეიძლება მიეცეს არა მარტო უშუალოდ დეტალურად საძიებლად და დასამუშავებლად, არამედ რეზერვადაც (სარეზერვო ფონდი).

დასამუშავებლად ზოგად-გავრცელებული წიაღისეულის საბადოს მიცემა ვადით 3 წლამდე და აგრეთვე ოქროიანი აღილებისა ერთ კვადრატულ კილომეტრზე არა უმეტესი სიგრძით, შეიძლება გამარტივებული წესით, იმ სახელმწიფო ორგანოს განსაკუთრებული ნებართვით, რომლის გამგებლობაშიაც არის ესა თუ ის საბადო.

მიწის ზედაპირის მოსარგებლებს შეეძლიან სახელმწიფო ორგანოსაგან ნებართვის მიულებლად, თავისი უსფრულოდ და უსასყიდლოდ, საქართველო (ლია) მუშაობით, ასაფეთქებელი ნივთიერების მოუხმარებლად დაამუშაოს ზოგად-გავრცელებული წიაღისეულის საბადო თავისი მეურნეობისა და ზინა-მრეწველობის საჭიროებისათვის და აგრეთვე ნედლეულად გასაღებისათვის—იმ პირობით უკეთ ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამუშავება სწარმოებს მიწათმოსარგებლისა და მისი ოჯახის საქართველო ძალით, ან თუნდაც დაქირავებული შრომის გამოყენებით, ხოლო იმ წესების დაცვით, რაც შრომის კანონმდებლობით დადგენილი საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენებისათვის.

86. დეტალურ ძიებად იგულისხმება ხელშეკრულებით განსაზღვრული საძიებლო მუშაობა, რაც საქართველოს იქნება უკვე აღმოჩენილი საბადოს სამრეწველო მნიშვნელობის გამოსარკვევად.

საძიებლო მუშაობის წარმოებისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულობის შესრულება პერიოდის სახელმწიფო სამთო და სამთო-საქარხნო საწარმო-სათვის უფლებას—მიიღოს დასამუშავებლად და საბადოს მთელი ნაძიები ფართობი, ხოლო ყველა სხვა სამთო მრეწველისათვის—უფლებას მიღოს დასამუშავებლად მის მიერ ნაძიები საბადოს ფართობის განსაზღვრული ნაწილი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეღავთიან პირობებში, თანაც მას აქვს უპირატესი

უფლება, ყველა სხვა მქემნელთა წინაშე, მიღოს, სხვა თანაბარ პირობებში, აღნიშნული ფართობის დანარჩენი ნაწილი დასამუშავებლად საერთო საფუძველზე.

87. უკვე აღმოჩენილი საბადოს დამუშავებად იგულისხმება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუშაობა ამა თუ იმ წიაღისეულის ამოსალებად საბადოს განსაზღვრული ფართობის ფარგლებში, განსაზღვრულ ვადაზე ან საბადოს სრულ დამუშავებამდე სამთო მრეწველის ვალდებულებით, რომ შეიტანას დამუშავების უფლებისათვის ხელშეკრულებით დაწესებული სასყიდელი.

იმისდამიხედვით, თუ ოთველი ხარჯია გაწეული კპიტალურ სამუშაოზე, რამდენად არის მომზადებული საბადო ამოსალები მუშაობისათვის და როგორია საბადოს გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა პირობები, რაც განსაზღვრავს საბადოს დამუშავების შემოსავლიანობას, სამთო მრეწველი შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს დამუშავების უფლებისათვის სასყიდლის გადახდისაგან ამა თუ იმ ვადით, ხოლო ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს 5 წლისა, 88 მუხლის შენიშვნით გათვალისწინებული წესისამებრ.

ცალკეული წიაღისეულის საბადოს დამუშავება მთლად საქართველოს სსრ ან მისი ცალკე ნაწილის ტრანტორიაზე შეიძლება გამოცხადებულ იქნეს უსასყიდლოდ მთელი დროის განმავლობაში ან განსაზღვრული ვადით, სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით.

**შენიშვნა.** ზოგად-გავრცელებული წიაღისეულის საბადოს დამუშავება (მე-13 მუხ. „ა“ 3) სწავლოებს გზათა (რეინისგზის, წყალსაგალი გზის, არარელსიანი გზის) ორგანოების მიერ თავისი სამშენებლო და საექსპლორაციო-სამეცნიერო საჭიროებისათვის უსასყიდლოდ და განსაკუთრებული ნებართვის გარეშე იმ მიწის ზოლის ფარგლებში, რაც ამ ორგანოებს მიეუთვნებული აქვთ „ტრანსპორტისათვის მიჩენილი მიწების დებულების“ (სსრ კავშირის კან. კრ. 1925 წ. 62 №-ი, მუხ. 478) მე-9 მუხლის წესისამებრ. გზატკეცილებისა და ყამირგზების ორგანოების მიერ ზემოაღნიშნული მიწის ზოლის გარეშე მდებარე საბადოში ქვისა, ხრეშისა, ქვიშისა და თიხის დამუშავება გზატკეცილების და ყამირგზების გაკეთებისა, შენახვისა და რემონტის საჭიროებისათვის მოხდება აგრეთვე უსასყიდლოდ იმ სახელმწიფო ორგანოს ნებართვით, რომლის გამგებლობაშიაც არის მიწის ზედაპირის სათანადო ნაკვეთი (მუხ. 91).

88. სასყიდლი ხელშეკრულების საფუძველზე საბადოს დამუშავების უფლებისათვის განისაზღვრება ან მხარეთა შეთანხმებით, ან საჯარო ვაჭრობის წესით; ამ უკანასნელის პირობებს განსაზღვრავს ის სახელმწიფო ორგანო, რომელიც ამა თუ იმ საბადოს გასცემს დასამუშავებლად.

**შენიშვნა.** ხელშეკრულებაში რესპუბლიკანური და აღვილობრივი მნიშვნელობის საბადოს დამუშავების უფლებისათვის სასყიდლის ოთვენობის დაწესებამდე ან ამ სასყიდლისაგან განთავისუფლებამდე (მუხ. 86 და 87), საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საპროცენტო მდგრადი განვითარებული სასყიდლის რაოდენობას და თანაც დაასაბუთებს ამ ოთვენობას; უკეთუ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ხელშეკრულებით განზრახული სასყიდლის რაოდენობას და თანაც დაასაბუთებს ამ რაოდენობას; უკეთუ ფინანსთა სახალხო კომისარიატსაგან ერთი თვის

ვადაზე, ცნობის მიღების დღიდან, არაეთთარი საწინააღმდევო პასუხი არ იქნება, ეს ჩაითვლება მის თანხმობად.

უკეთ საქართველოს, სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ზემო-აღნიშნულ ვადაზე განაცხადებს, რომ თანახმა არ არის სასყიდლის გან-ზრახული რაოდენობისა, საკითხს საბოლოოდ ვადასწყვეტს საქართველოს სსრ ეკონომიკური საბჭო.

საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე საერთო-საკავშირო მნიშვნე-ლობის საბადოს დამუშავების უფლებისათვის სასყიდლის რაოდენობა განი-საზღვრება სსრ კავშირის სამთო დებულების 90 მუხლით გათვალისწინე-ბული წესისამებრ.

89. დამუშავების ხელშეკრულებაში განსაზღვრულ უნდა იქნეს წლიური სა-ვალდებულო მინიმალური ამოღება. იმისდამიხედვით, თუ რამდენად მომზადე-ბულია საბადო, სამთო მრეწველი შეიძლება განთავისუფლდეს სავალდებულო მი-ნიმალური ამოღებისაგან ვაღით 5 წლამდე.

90. ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავების სასყიდელი შეიძლება და-წესებულ იქნეს:

ა) ან წილადი ანარიცხის სახით ნატურად ან ფულად ექვივალენტად;

ბ) ან ფულადი სასყიდლის სახით წონის ერთეულისათვის (სასყიდელი ტო-ნასათვის) ან ტევადობის ერთეულზე (სასყიდელი კუბისათვის).

დამუშავების სასყიდელი სახელმწიფო საწარმოს ვადახდება ფაქტიურად ამოღებული წილისულის რაოდენობის მიხედვით, ცველა სხვა სამთო მრეწველს კი—ფაქტიურად ამოღებული წილისულის რაოდენობის მიხედვით, ხოლო, ყო-ვილ შემთხვევაში, არა ნაკლებ იმ რაოდენობისა, რაც გათვალისწინებულია სა-ვალდებულო მინიმალური პროგრამით, ხელშეკრულებისამებრ.

რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საბადოს სასყიდლის ვადახდევინების წესი და ვადა განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო სა-ქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

91. უკვე აღმოჩენილი საბადო, რომელიც მე-20 მუხ. 1-ლ პუნქტში აღნიშნულ ადგილებსა და მიწებზე მდებარეობს, შეიძლება გაიცეს დეტალური ძიებისათვის და დამუშავებისათვის მხოლოდ დაინტერესებულ სახელმწიფო ორ-განოთა ნებართვით; ხოლო სანაპირო რაონტების ფარგლებში მდებარე ნაკვე-თები (მე-20 მუხლის 1 პუნქტის „დ“ ლიტ.) გაიცემა საერთო საფუძველზე— სსრ კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ნება-რთვის გარეშე.

92. სახელმწიფო საწარმოს და კოოპერატიულ ორგანიზაციას უკვე აღმო-ჩენილი საბადო დეტალური ძიებისათვის ან დამუშავებისათვის მიეცემა სხვა თა-ნაბარ პირობებში, უპირატესად კერძო (ფიზიკურ და იურიდიულ) პირთა წინაშე.

93. უკვე აღმოჩენილ საბადოსთან უშუალოდ ახლო მდებარე სარეცხი და გადამშემავებელი საწარმო, რომელიც ამ მომსახურეობას უწევს, აგრეთვე სხვა ტექნიკური ნაგებობა და გაწყობილობა და სამურნეო და საცხოვრებელი შე-

ნობა შეადგენს საბადოს კუთვნილებას, იმყოფება იმავე სახელმწიფო ორგანოს გამგებლობაში, რომლის გამგებლობაშიაც თვით საბადოა, და იმავე ორგანოს მიერ მიეცემა სამოთ მრეწველს ხელშეკრულებით.

**შენიშვნა.** უკეთ საბადო დეტალური დამუშავებისათვის მიეცემა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში მყოფ სახელმწიფო სამთო და სამთო-საქარხნო საწარმოს, დამუშავების ხელშეკრულება დაიდება მხოლოდ წიაღის შესახებ; ხოლო 93 მუხლით გათვალისწინებული ქონება საწარმოს საწესდებო კაპიტალში ჩაირიცხება.

94. ყოველგვრი შენობა და ნაგებობა, რასაც სამთო მრეწველი ახლად ააგებს იმ ფართობშე, რომელიც მას ხელშეკრულების საფუძველზე მიეცა დეტალური ძიებისათვის ან დამუშავებისათვის, ყველა მათი კუთვნილი ახლად შეძენილი გაწყობილობით, შეადგენს სამთო მრეწველის საკუთრებას და შეიძლება გადავიდეს სახელმწიფოს განკარგულებაში მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

95. საბადოს იმ ფართობის ფარგლებში, რაც სამთო მრეწველს მიეცემა ხელშეკრულების საფუძველზე დეტალური ძიებისათვის ან დამუშავებისათვის, მას უფლება აქვს უსასყიდლოდ ამოილოს ზოგად-გავრცელებული წიაღისეული, რომელიც მისთვის საჭირო იქნება დამუშავებული სიგრუის ამოსახსებად, ამოლებული წიაღისეულის დასამუშავებლად და იგრძელება სამშენებლო, საგზაო და 70 მუხლის შენიშვნის წესისამებრ გამოცემული წესებით გათვალისწინებულ სხვა სამუშაოთა საწარმოებლად.

96. დეტალური ძიებისა და დამუშავების შესახებ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლების სრულად ან ნაწილობრივ მესამე პირისათვის დათმობა შეიძლება მხოლოდ იმ სახელმწიფო ორგანოს წინასწარი თანხმობით, რომელმაც გასცა საბადო დეტალური ძიებისა ან დამუშავებისათვის.

97. უკეთ დასამუშავებლად გაცემულ საბადოს არავითარი გაწყობილება არა აქვს, სამთო მრეწველს შეუძლიან იმ სახელმწიფო ორგანოს ნებართვით, რომელმაც მას საბადო მისუა, დაუგირაოს დამუშავების უფლება მესამე პირს განსაზღვრული ვადით ხელშეკრულების ვადის ფარგლებში, ხოლო იმ პირობით, რომ აღნიშნულ ორგანოს აუცილებლად აცნობოს მოგირანის ვინაობა; ამასთანავე გირავნობა ქმნილ უნდა იყოს სანოტარო წესისამებრ დამოწმებული აქტით და შემდგომ უნდა აღნიშნოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების სათანადო დავთრებული.

98. ხელშეკრულების საფუძველზე რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საბადოების დეტალური ძიებისა და დამუშავების გაცემის დაწვრილებით წესებს განსაზღვრავს ა/კსფს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

### ვ ა რ ი V.

#### სამთო რეალისათვის საჭირო ზედაპირის ნაკვეთები.

99. ზედაპირის ნაკვეთი, რაც საჭიროა სამთო რეწაობისათვის, მიეცემა სამთო მრეწველს 100—104 მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე ან გადავა სამთო

მრეწველის სარგებლობაში 106 მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული წესისამებრ.

100. ზედაპირის ნაკვეთები, რაც მიცემულ უნდა იქნეს 100—104 მუხლების საფუძველზე, იმისდამიხედვით, თუ რამდენად საჭირონი არიან ისინი სამორ რეწომისათვის, გაიყოფა უთუოდ საჭირო და სათუოდ საჭირო ნაკვეთებად.

უთუოდ საჭირო ნაკვეთად ჩაითვლება ისეთი ნაკვეთი (როგორც საძებნი ან საძიებლო ფართობის და მიჩენილი სამორ ნაკვეთების ფარგლებში, ისე მათ გარეშეც), რომლის გამოუყენებლადაც სამორ მრეწველი ან სრულიად ვერ შესძლებს მისთვის ამა სამორ კოდექსის წესისამებრ მინიჭებული სამორ მუშაობის უფლების განხორციელებას, ან ეს განხორციელება იქნება ეკონომიკურად მიზან-შეუწონელი, ან და სამორ მუშაობის ტეხნიკური წესების შეუფერებელი.

სათუოდ საჭირო ნაკვეთად ჩაითვლება ისეთი ნაკვეთი, რომლის სარგებლობაც სასურველია, ხოლო მისი გამოუყენებლობა არ გამოიწვევს სამორ მრეწველისათვის სამორ სამუშაოთა საწარმოებლად მინიჭებული უფლების განხორციელების შეუძლებლობას.

101. იმის ცნობა, რომ ნაკვეთი განსაზღვრული ოდენობით და განსაზღვრულ ფარგლებში უთუოდ ან სათუოდ საჭიროა, ეკისრება იმ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც საბათოს გასცემს საძებნელად, საძიებლად და დასამუშავებლად.

საჩიგარი სათანადო ორგანოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ცნობილია ან არ არის ცნობილი, რომ ზედაპირის ესა თუ ის ნაკვეთი უთუოდ ან სათუოდ საჭიროა სამორ რეწომისათვის, გადაწყდება საუწყებო წესისამებრ.

102. უთუოდ საჭირო ზედაპირის ნაკვეთის მიცემა სავალდებულოა ყველგან, ხოლო იგი არ მიიცემა შემდეგ ადგილებსა და მიწებზე:

ა) იმ ადგილებსა და მიწებზე, რაც აღნიშნულია მე-20 მუხლის 1-ლ პუნქტში, აგრეთვე იმ მიწებზე, რაზედაც ქალაქისა და სოფლის მოედნები და ქუჩებია;

ბ) იმ მიწებზე, რაზედაც არის წარმოებითი საწარმო, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა, ეზო, ბაღი და ბოსტანი;

გ) იმ მიწებზე, რაზედაც არის ციტრუსევანი ნარგავი, ვენახი და ჩაის პლანტაცია.

ზედაპირის ნაკვეთები ამა მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ ადგილებსა და მიწებზე მიცემათ სამორ მრეწველთ მხოლოდ ამ მიწების მოსარგებლეთა თანხმობით, „ა“ პუნქტში აღნიშნულ ადგილებსა და მიწებზე კი, ამის გარდა, დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოთა ნებართვით, ხოლო უკეთუ ასეთი თანხმობა და ნებართვა არ არის—საქართველოს სსრ ეკონომიკური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

სანაპირო რაიონის ფარგლებში მდებარე ნაკვეთები (მე-20 მუხლის პ. 1-ლი, ლიტ. „დ“), რაც საჭიროა უკვე აღმოჩენილი საბათოს დეტალური ძიებისა და დამუშავებისათვის, გაიცემა საერთო საფუძველზე—გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს ნებართვის გარეშე.

**შენიშვნა.** ნაკვეთის მიცემის ნებართვაზე უარის თქმა დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიანთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ

ნაკვეთების სამთო მრეწველის მიერ დაჭრა სახელმწიფო ინტერესებისათვის ოცალსაჩინო ზიანის ნამდვილ საფრთხეს ჰქმნის.

103. სათუოდ საჭირო ზედაპირის ნაკვეთების გაცემა სავალდებულოა ყველგან, გარდა:

ა) იმ ადგილებისა და მიწების ზედაპირისა, რაც აღნიშნულია 102 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტებში;

ბ) ყველა ისეთი მიწების ზედაპირისა, რაც ვისიმე სამეურნეო სარგებლობაშია, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყების ზედაპირისა.

ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული ადგილებისა, და მიწების ზედაპირის ნაკვეთები მიცემა სამთო მრეწველს მხოლოდ მიწის მოსარგებლეთა თანხმობით, ამა მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული ადგილებისა და მიწების ნაკვეთები კი, ამას გარდა, დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოთა ნებართვით.

104. ზედაპირის ნაკვეთი, როგორც უთუოდ საჭირო, ისე სათუოდ საჭირო, გადაეცემა სამთო მრეწველს სასარგებლოდ, 102 და 103 მუხლების მოთხოვნათა დაცვით:

1) საძებნელი და საძიებლო მუშაობისათვის, რაც წარმოებულ უნდა იქნეს სანებართვო მოწმობისა ან დეტალური ძიების შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე:

ა) იმ საძებნელი ან საძიებლო ფართობის ფარგლებში, რაც აღნიშნულია ამ მოწმობებასა ან ხელშეკრულებებში,—სენიებულ მოწმობათა ან ხელშეკრულებათა მიხედვით, სარგებლობის უფლების დამატებითი გაფორმების გარეშე, უსასყიდლოდ, ნატურად გაუმიჯნავად, ხოლო სამთო მრეწველისათვის გალდებულების დაკისრებით, რომ ნაკვეთის დაჭრა აუშევოს იმ სახელმწიფო ორგანოს, რომლის გამგებლობაშიაც სათანადო მიწებია;

ბ) საძებნელი და საძიებლო ფართობის ფარგლების გარეშე, უკეთუ სათანადო ნაკვეთი ვისიმე სამეურნეო სარგებლობაში არ არის, აგრეთვე საერთო—სახელმწიფო მნიშვნელობის ტყებში—წინა პუნქტში აღნიშნულ საფუძველზე, ხოლო უკეთუ სათანადო ნაკვეთი ვისიმე სამეურნეო სარგებლობაშია ან ადგილობრივი მნიშვნელობის ტყებში—სათანადო მიწის მოსარგებლეთა (დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის და პირის) სამთო მრეწველთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ნატურად გაუმიჯნავად, ხოლო სამთო მრეწველისათვის გალდებულების დაკისრებით, რათ ნაკვეთის დაჭრა აუშევოს იმ სახელმწიფო ორგანოს, რომლის გამგებლობაშიაც სათანადო მიწებია;

2) საბადოს დამუშავებისათვის პირველი აღმომჩენის უფლებისა ან ხელშეკრულების საფუძველზე:

ა) მიწებზე, რომელიც არის ვისიმე სამეურნეო სარგებლობაში და საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის ტყებში—განსაკუთრებული მიწათმოწყობის წესით;

ბ) მიწებზე, რომელიც ვისიმე სამეურნეო სარგებლობაშია, გარდა ისეთი მიწისა, რაც საქალაქო მიწების შედგენილობაში შედის, და აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყებში მდებარე მიწებზე—სამთო მრეწველის არჩევით ან მიწის მოსარგებლესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ან განსაკუთრებული მიწათმოწყობის წესით;

გ) საქალაქო მიწების შედგენილობაში შემთხვევალ მიწებზე, სამთო მრეწველის მიერ სათანადო საქალაქო საბჭოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძვლზე;

დ) იმ სახელმწიფო ორგანოს გამგებლობაში ქონებულ მიწებზე, რომლის გამგებლობაშიაც არის სათანადო საბადო—ამ ორგანოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

105. 104 მუხლში მოხსენებული წესი განსაკუთრებული მიწათმოწყობისა დადგენილ იქნება ცალკე ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით.

106. სამთო მრეწველთათვის 99—104 მუხლებით გათვალისწინებულ საფუძვლზე ზედაპირის ნაკვეთების მიცემის გარდა, ზედაპირის ნაკვეთები შეიძლება გადავიდეს სამთო მრეწველის სარგებლობაში:

ა) ძებნითი მუშაობისათვის სანებართვო მოწმობის გარეშე ისეთ მიწებზე, რომელიც არის ვისიმე სამეურნეო სარგებლობაში, და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეში—მიწის მოსარგებლებსთან შეთანხმებით, ხოლო მე-20 მუხლის I პუნქტში აღნიშნული ადგილებისა და მიწების მიმართ,—ამის გარდა, დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოს ნებართვით.

ბ) ძებნითი მუშაობისათვის სანებართვო მოწმობის გარეშე ისეთ მიწებზე, რომელიც არ არის ვისიმე სამეურნეო სარგებლობაში, და აგრეთვე საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეში,—მე-20 მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნული ადგილებისა და მიწების ფარგლებს გარეთ,—ვისიმე ნებართვის გარეშე, ნაკვეთის ნატურად გაუმიჯვავად და სახელმწიფოს სასარგებლოდ სასყიდლის გადაუხდელად.

107. ზედაპირის ნაკვეთი მიეცემა სამთო მრეწველს, მისი შეხედულებისა-მებრ, ან განსაზღვრული ვადით, ან მისთვის ნებადართული სამთო მუშაობის დროის განმავლობაში, თუნდაც ეს დრო განისაზღვრებოდეს გამომუშავებამდე, თანაც სამთო მრეწველს უფლება აქვს, უკეთუ საჭირო იქნება, ითხოვოს ახალი ნაკვეთის მიცემა და უარი სთქვას ისეთ ნაკვეთზე, რომელიც უკვე საჭირო აღარ არის.

108. სამთო მრეწველი, რომელმაც რაიმე მიწების გამო დაკარგა სამთო მუშაობის წარმოების უფლება, ავტომატიურად ჰკარგავს მიცემული ზედაპირის ნაკვეთის სარგებლობის უფლებასაც.

109. მესამე პირზე საბადოს ძიებისა და დამუშავების უფლების გადასვლის დროს (მუხ. 49, 68 და 96), სამთო მრეწველის უფლება-მოვალეობანი, რაც დაკავშირებულია მისთვის მიცემული ზედაპირის ნაკვეთების გამოყენებასთან, ავტომატიურად გადადის მისი უფლების მენაცვლებზე.

110. იმ შემთხვევაში, როდესაც ზედაპირის ნაკვეთი სამთო მრეწველს მიეცემა საადგილ-მამულო ორგანოს ან საქალაქო საბჭოს მიერ, სამთო მრეწველის უფლების გაფორმება ამ ნაკვეთზე უნდა მოხდეს 105 მუხლში აღნიშნული ინსტრუქციით დადგენილ ვადაზე.

უკეთუ აღნიშნული ვადა გადაცილებულ იქნა, საბადოს მიმცემ ორგანოს უფლება აქვს მიუჩინოს სამთო მრეწველს ზედაპირის საჭირო ნაკვეთები დამოუკიდებლად—იმავე ინსტრუქციით დადგენილი წესისამებრ (მუხ. 105).

111. ზედაპირის ნაკვეთი, რომელიც მომსახურეობას უწევს ისეთ საბუღლოს, რის დამუშავებაც დაწყებულია სსრ კავშირის სამთო დებულების სამოქმედოდ შემოღებამდე (მიუხედავად იმისა, გრძელდება ეს დამუშავება, თუ დროებით შეწყვეტილია) და რომელიც აუცილებლად საჭიროა ამ საბადოს დამუშავების განსაზღვრობად, არის იმ სახელმწიფო ორგანოს გამგებლობაში, რომელიც სათანადო საბადოს განაგებს.

112. ზედაპირის ნაკვეთი, რომელიც მომსახურეობას უწევს ისეთ საბადოს, რის დამუშავებაც დაწყებულია სსრ კავშირის სამთო დებულების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, გადადის იმ სახელმწიფო ორგანოს გამგებლობაში, რომლის გამგებლობაშიაც სათანადო საბადო—სამთო მრეწველის მიერ ამა თუ იმ საბადოს დამუშავების უფლების დაკარგვის მომენტიდან.

113. ზედაპირის ნაკვეთი, რომელიც სამთო რეწაობისათვის უკვე საჭირო აღარ არის, გადადის საერთო საფუძველზე საადგილ-მამულო ორგანოებისა და ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში — კუთვნილებისამებრ.

114. სამთო მუშაობის წარმოებისათვის მოუკრელი ტყის სარგებლობის წესი განისაზღვრება სპეციალური კანონით.

115. ოვითეული სამთო მრეწველი ვალდებულია სამთო მუშაობის წარმოების უფლების მიღებასთან ერთად შეიტანოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების დეპოზიტად საწინდარი იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, რაც მიწის მოსარგებლეს შეიძლება მოუკიდეს სამთო მუშაობისაგან. საწინდარის რაოდენობას განსაზღვრავს სამთო განყოფილება.

სახელმწიფო დაწესებულება და სახელმწიფო საწარმო არ განთავისუფლდება, საერთო წესის თანახმად, მიწათმოსარგებლისათვის ზარალის ანაზღაურებისაგან, ხოლო იგი საწინდარის შეტანისაგან თავისუფალია.

**შენიშვნა.** ამ მუხლში აღნიშნული საწინდარი შეიძლება დაებრუნოს სამთო მრეწველს მხოლოდ იმ შემთხვევებში, უკეთუ იგი წარადგენს მიწათმოსარგებლის მოწმობას, ადგილობრივი საბჭოს მიერ შემოწმებულს, იმის შესახებ, რომ მიწათმოსარგებლე არ მოითხოვს სამთო მრეწველი-საგან სამთო მუშაობით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

116. ზედაპირის მოსარგებლეს არა აქვს უფლება სამთო მრეწველთან წინა-სწარ შეუთანხმებლად შესცვალოს ზედაპირის სამეურნეო დანიშნულება სამთო მრეწველისათვის მიჩნილი საბადოს ფართობის ფარგლებში.

117. ზედაპირის ნაკვეთს, რაც სამთო მრეწველს არ უნდა დაეტოვოს ძიებისა და დამუშავებისათვის ძებნითი მუშაობის დამთავრების შემდეგ და აგრეთვე მას შემდეგ, რაც ეს ნაკვეთი საჭირო აღარ იქნება ძიებისა და დამუშავების მიზნისათვის, სამთო მრეწველმა შეძლებისდაგვარად წინანდელი სახე უნდა აღუდგინოს.

საბადოს ძებნით, ძიებით და დამუშავებით მიწათმოსარგებლისათვის მიღებული ზარალი სამთო მრეწველმა უნდა აანაზღაუროს იმ წესით და / იმ ვა-დაზე, რაც დადგენილ იქნება განსაკუთრებული წესებით, რომელთაც გამოსცემს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

აღნიშნული წესებით დადგენილ იქნება აგრეთვე წესი იმ ზარალის ანაზღაურებისა, რაც სამთო მრეწველს მოუვა მიწათმოსარგებლის მიერ მისი უფლების შეეიწროებით.

დავა იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაც მოუვა როგორც მიწათმოსარგებლეს, ისე სამთო მრეწველს მათი უფლებების ურთიერთ შევიწროების გამო, გადაწყვდება სასამართლო-სასაჩელო წესით.

118. დავა სამთო მრეწველსა და მიწის მოსარგებლეს შორის, რაც ზედაპირის ნაკეთების სარგებლობის ნიადაგზე აღიძვრის, გადაწყვდება საადგილ-მამულო დავათა გადაწყვეტისათვის დადგენილი წესით.

### ვ ა რ ი VI.

#### მეზობელ სამთო მრეწველთა ურთიერთ დამოკიდებულება.

119. თვითეულ სამთო მრეწველს უფლება აქვს გაიყვანოს ელექტრონის ხაზი, მილსადენი, გზა, თხრილი, წყალსაქცევი და შტოლნები და ააგოს ყოველ-გვარი სხვა დამხმარე ნაგებობა წყლის გასაშევად, ჰაერის გასაყვანად და საერთოდ სამუშაოს სათანადოთ დასაყენებლად სხვა სამთო მრეწველობისათვის მიწენილი საბადოს მოსაზღვრე ფართობის ფარგლებში, იმ პირობით კი, რომ ეს არ აძრკოლებდეს უკანასკნელის დამუშავებას.

120. სამთო მრეწველი ვალდებულია, სათანადო სასყიდლით, ნებადართოს მეზობელ სამთო მრეწველს, რომელიც მუშაობს საბადოს მოსაზღვრე ან თან-მთხვევი ფართობზე, ისარგებლოს მისი თხრილით, შახტით, შტოლნით, შტრეკით და მანქანებით, რაც წყლის გასაშევად ან გადასაგდებად არის, იმ პირობით კი, რომ ასეთი სარგებლობა, აუცილებელი მოსაზღვრე ფართობზე მუშაობისათვის, არ გამოიწვევს პირველი მრეწველისათვის საფრთხეს ან სერიოზულ შევიწროებას.

121. უკეთ სამთო მრეწველს სურს გაპყიდოს ის გაწყობილობა და მანქანები, რაც 119 მუხ. საფუძველზე მეზობელი სამთო მრეწველის სარგებლობა-შია (მუხ. 77 და 94), იგი ვალდებულია აღნიშნული გაწყობილობა და მანქანები, თანასწორ პირობებში, უპირატესად ყველა სხვა მყიდველის წინაშე, მეზობელ სამთო მრეწველს მიჰყიდოს.

122. სამთო მრეწველს არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს საბადოს მოსაზღვრე ფართობზე მომუშავე მეზობელ სამთო მრეწველს, რათა მან ისარგებლოს ის წყალი, რომელიც გადის ორივე მრეწველის ფართობზე.

123. უკეთ სამთო მრეწველი, რომელიც მუშაობს საბადოს ერთერთ თან-მთხვევი ფართობზე ან ააშენებს თავის დამხმარე ნაგებობას მოსაზღვრე ფარ-

თობის ფარგლებში, ამოილებს მეორე სამთო მრეწველის კუთვნილ წიალისეულს, უკანასკნელის მოთხოვნით იგი ვალდებულია დაუთმოს მას თვითონირებულების მიხედვით, ხოლო არა უმეტეს ნორმალური ფასისა, მის მიერ გზადაგზა ამოღებული მთელი წიალისეული. გზადაგზა ამოღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია მუშაობის პირობების მიხედვით.

124. წესები სამთო მრეწველთა სამეზობლო ურთიერთ უფლება მოვალეობათა განხორციელებისა და იმ ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ, რაც საბადოს მოსახლეობრე და თანმთხევე ფარაობებზე მუშაობით წარმოიშობა, დადგენილ იქნება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ.

125. დავა სამთო მრეწველთა შორის, რაც აღიძვრის სამეზობლო უფლება-მოვალეობათა განხორციელების ნიადაგზე, გადაწყდება შემდეგი წესით:

ა) დავა, რომელიც შეეხება ტეხნიკურ პირობებს და მიჩნილი სამთო ნაკვეთის სარგებლობის წესს, გადაწყდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების მიერ, რომლის დადგენილებაც შეიძლება განსახიერებულ იქნეს ორი კვირის ვადაზე სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში;

ბ) დავა, რომელიც შეეხება ზარალის ანაზღაურებას და ყველა სხვა საკითხებს, გადაწყდება საერთო-სასამართლო წესით.

### ვ გ რ ი VII.

#### სამთო-სარეწაო ზედამხედველობა.

126. სამთო-სარეწაო ზედამხედველობა შემოიღება შემდეგი მიზნით:

ა) სამთო კანონების დაცვისათვის თვალყურის სადევნებლად;

ბ) წიალის დასაცავად;

გ) სამთო საწარმოებში სტრიუმულ უბედურებასთან საბრძოლველად.

127. ზედამხედველობას სამთო კანონების დაცვისათვის შეადგენს:

ა) თვალყურის დევნება, რათა სამთო მუშაობა არ იქნეს წარმოებული იმ ადგილებსა და მიწებზე, რომლებიც დახურულია ამგვარი მუშაობისათვის (მუხ. 19, 32 და 58);

ბ) თვალყურის დევნება, რათა მუშაობა არ იქნეს წარმოებული თვითნებისად, სათანადო სახელმწიფო ორგანოთა ნებართვის გარეშე;

გ) თვალყურის დევნება, რათა ყველა სამთო მრეწველმა შეასრულოს სახელმწიფოს და მესამე პირთა მიმართ ის მოვალეობანი, რაც გათვალისწინებულია სამთო კანონებით და სამთო მრეწველთა მიერ მიწის წიალის ძიებისა და დამუშავების შესახებ სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულობით.

128. წიალის დაცვა გულისხმობს მეთვალყურების გაწევას, რათა სამთო მრეწველმა სათანადოთ გამოიყენოს:

ა) სამთო მუშაობის ტეხნიკური მეთოდები და საშუალებანი, საბადოს გეოლოგიური აგებულობისა, მისი თავისი გებულებისა და აგრეთვე სამთო ქანისა და წიალისეულის ჩაფენილობის მიხედვით (გეოლოგიური კონტროლი);

8) წესები, რაც შეეხება სამთო მუშაობის ტეხნიკურ სისწორეს და ტეხნიკურ მიზანშეწონილობას—წიაღისეულის საბაზოს უფრო სრულად გამოყენების მიზნით (ტეხნიკური კონტროლი);

გ) წესები, რაც შეეხება მიწის-ქვეშა და მიწის-ზედა დასამუშავებელი ადგილის გადაღებას, სამარქშეიდერო გეგმების შედგენას, ამ გეგმების შემოწებას და სამუშავებელი ადგილის საკონტროლო გადაღების საშუალებით, აგრეთვე სატრიანგულაციის სამუშაოთა წარმოებას (სამარქშეიდერო საქმე და სამარქშეიდერო კონტროლი).

129. სტრიურ უბედურებასთან ბრძოლა გულისხმობს სამთო საწარმოებში სტრიურ უბედურებათა წინასწარ თავიდან ასაკილებლად და მათ მოსასპობად საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას სამთო-საგადამრჩევო სიღვრებისა და პუნქტების საერთო და ოპერატორული ხელმძღვანელობის წესით.

130. სამთო-სარეწაო ზედამხედველობის ფუნქციებს საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საბაზოებისა და სამთო საწარმოთ მიმართ შეასრულებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და განახორციელებს ან უშუალოდ, ან და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მეშევრით; ყველა დანარჩენი საბაზოებისა და სამთო საწარმოთ მიმართ აღნიშნული ფუნქციების აღსრულება დაეკისრება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

**შენიშვნა.** ზედამხედველობას სამთო სამუშაოთა უშიშროებისათვის და აგრეთვე ზედამხედველობას იმ წესების შესრულებისათვის, რომლითაც განსაზღვრულია სამთო-საგადამრჩევო საღვრების ორგანიზაცია და მოქმედება, განახორციელებს შრომის სახალხო კომისარიატის სპეციალური სამთო-სატექნიკო ინსპექცია, რომლის დებულებასც ამტკიცებს სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და სსრ კავშირის სამთო მუშაოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტით შეთანხმებით.

131. ძირითადი წესები სამთო მუშაობის წარმოების წესისა და საშუალებათა შესახებ წიაღის დაცვის, მისითვის გეოლოგიური და ტეხნიკური კონტროლის გაწევის, სამარქშეიდერო საქმის, სამარქშეიდერო კონტროლის და სამთო კანონების შესრულების ზედამხედველობის მიმართ, გამოიცემა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ.

132. სამთო მუშაობის უშიშროების წესები და აგრეთვე სამთო-საგადამრჩევო საღვრების ორგანიზაციისა და მოქმედების წესები გამოიცემა სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და სსრ კავშირის სამთო მუშაოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტით შეთანხმებით.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად გამოსცემს დამატებითს ინსტრუქციებს აღნიშნული წესების განსავითარებლად.

133. წინა მუხლებში აღნიშნული ინსტრუქციები და წესები საგადამულოა ყველა გამოუნაკლისად—სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო (მათ

შორის საკონცესიო) საჭარმოთათვის და ცალქე პირთათვის, რომელნიც ეწევიან წილისეულის ძებნას, ძიებას, დამუშავებას, გარეცხვას და პირვანდელ დამუშავებას, აგრეთვე იმ საჭარმოთათვის, რომელთა მოქმედებაც განუყრელად დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ სამთო მუშაობასთან.

134. სამთო ზედმხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ იჭარმოონ მოკვლევა და მისცენ სისხლის სამართლის პასუხისმგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და საფუძველზე ის პირნი, რომელნიც დაარღვევენ კანონებსა და განკარგულებებს წილის დაცვისა და სამთო მუშაობის ტეხნიკური სისწორის შესახებ.

135. წილის უკანონოდ დამუშავების აღკვეთის მიზნით სამთო ზედამხედველობის ორგანოებს უფლება ეძლევათ დაიხმარონ მუშათა და გლეხთა მიღიცის ორგანოები.

---

## ს ა რ ჩ ე ვ ი

საქართველოს ს ს რ სამთო კოდექსი

კარი I. ზოგადი დებულებანი . . . . .	1 — 7
კარი II. წიაღთა გამგებელი დაწესებულებანი . . . . .	8—12
კარი III. სასარგებლო წიაღისეულის საბადოების კლასიფიკაცია . . . . .	13—16
კარი IV. სამთო რეწაობისათვის უფლების შეძენის წესი	
თავი 1. ჯერ აღმოჩენელი საბადოები . . . . .	17—84
თავი 2. უკვე აღმოჩენილი საბადოები . . . . .	85—98
კარი V. სამთო რეწაობისათვის საჭირო ზედაპირის ნაკვეთები	99—118
კარი VI. მეზობელ სამთო მრეწველთა ურთიერთ დამოკიდებულება . . . . .	119—125
კარი VII. სამთო-სარეწაო ზედამხედველობა . . . . .	126—135

---